



საკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნილი 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მაიღებს: თფილისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. вом. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „**ჩხვალის**“.

შინაარსი: ევროპაში ნ. ყორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„ქვალის“ კორესპონდენციები.—რანდი უშიშარი, ლექსი ირ. წ—ელისა.—წერილი ქართლიდან ჭირისუფლისა.—საპარლამენტო არჩევნები ინგლისში ი. კაკაბაძისა.—ანგარიში ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.—წერილები რედაქციის მიმართ და განცხადებები.

მ მ რ მ კ კ შ შ ი .



თითქმის წელიწადია მას შემდეგ, რაც ევროპის საგარეო პოლიტიკამ მიიპყრო სრული ჩვენი ყურადღება და დაგვაშორა მის საშინაო პოლიტიკას. ერთი ევროპელი ჯარის-კაცის მოკვლა ან დაჭრა ქვეყნის რომელიმე კუთხეში გაცილებით მეტს გვაღაპარაკებს და ხშირათ კიდევაც გვაყვირებს, ვინემ ინგლისის პარლამენტის არჩევა ან გერმანიის კანცლერის გამოცვლა. ლიხუნ-ჩანგის ვინდ დევეტის ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა დაუსრულებელ ტელეგრამებს იწვევს, ხოლო ხალხის აჯანყება ისპანიაში, მთავრობის ცვლილება ინგლისში, აგიტაცია გერმანიაში და სხ. და სხ. სრულიად შეუმჩნევლათ რჩება. და ასე, ლამის ერთიანთ გა-

ვიჩინელდეთ და „ცათა სამეფოს“ ყურმოჭრილ მონათ გავხდეთ. რასაკვირველია, მოულოდნელი და სენსაციური ამბების გაგება ყველასათვის საინტერესოა, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა თვით ამ ამბების დასაბამი, მათი დასაწყისი, საიდანაც ყველა ეს მომდინარეობს და თავის განსაკუთრებით ელფერს ღებულობს. და მართლაც, რომელიმე ქვეყნის საგარეო მდგომარეობა არის პირდაპირი დასკვნა მისი შინაგანი მდგომარეობის. მაგ. ინგლისში რომ ლიბერალური მთავრობა ყოფილიყო, ტრანსვაალთან ომი არ ატყდებოდა და ამდენი სისხლი არ დაინთხეოდა. ხოლო რატომ ლიბერალები ვერ იყვენ მთავრობის სათავეში—ამის მიზეზი დამარხულია ინგლისის შინაგან ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, საგარეო პოლიტიკის ჩარხს ატრიალებს საშინაო პოლიტიკა, განწყობილება უცხოელებთან დამოკიდებულია ერის ნაწილების ურთ-ერთ შორის განწყობილებაზე; რომელი პარტია იმარჯვებს შეიგნით, იმის პოლიტიკა წარმოებს გარეთაც. შაშასადამე, ბრძოლა პარტიათა შორის—აი სათავე ევროპის როგორც შინაგანი ისე გარეგანი მდგომარეობისა და პირველის გაცნობა ნიშნავს მეორეთა გაცნობას და გათვალისწინებას.

საქართველო

ევროპაში დღეს სამი სახელმწიფოა, რომელნიც წინუძღვებიან ევროპას და მით წინუძღვებიან განათლებულ კაცობრიობასაც. ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია—აი ვინ უფროსობს დასავლეთში, ვის შეხვდებით ქვეყნის ყოველ კუთხეში, ვინ არის დაინტერესებული აფრიკაში, აზიაში, ამერიკაში—ყოველგან. ამათი (და აგრეთვე რუსეთის) ინტერესის შეთანხმება-შეჯახება წარმოშობს ამა თუ იმ პოლიტიკას ტრანსვაალში, ჩინეთში და სხვაგან. მაგრამ ზემოთ მოხსენებულ სამ სახელმწიფოში მართვა-გამგეობის სათავე ხელთ უპყრია ერთ რომელსამე კლასს ანუ პარტიას და როცა ვისმენთ ამა და ამ სახელმწიფოს პოლიტიკა, ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ მისი გაბატონებული პარტიის პოლიტიკა. ასეთი გაბატონებული პარტიაა ინგლისში კონსერვატორები და მათი მოკავშირე ლიბერალთა პარტიიდან გაქცეულნი—უნიაონისტები, (ე. ი. შეერთებულნი). ამ პარტიამ დაიწყო ომი ტრანსვაალთან და ეგვევ პარტია წარსდგა წელს ინგლისის ერის წინაშე ბრძანების მისაღებათ. და აი ერმა უკვე ბრძანა: ვენდობით კონსერვატორებს და ისინი დარჩენ სამშობლოს გამგეთო. არჩეულ იქმნა 401 დეპუტატი მთავრობის მომხრე და 269 მოწინააღმდეგე. მაშასადამე, ინგლისის ხალხის უმრავლესობა ამართლებს სოლიუსბერჩემბერლენის რკინის პოლიტიკას და, მერწმუნეთ, ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ინგლისისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. ერი, უმთავრესათ მრეწველი, ვაჭარი და შედარებით წყნარი, დღეს სამხედრო გზას ადგება, თოფ-იარაღს ისხამს და რაღასაც თუ ვიდასიც წინააღმდეგ ემზადება. ინგლისის სამრეწველო განვითარებამ გამოიწვია მთელი ევროპის, მთელი ქვეყნის სამრეწველო განვითარება და მით შესცვალა ერთა შინაური ცხოვრება. დღეს იგივე ერი სამხედრო განვითარებას ადგება და ვინ იცის, შეიძლება, ამან გამოიწვიოს სახელმწიფოთა ახალი განწყობილება და მით შესცვალოს არსებული საპოლიტიკო მდგომარეობა...

ასე თუ ისე ინგლისის ხალხმა უარ ჰყო ლიბერალთა პროგრამა—პროგრამა სოციალური რეფორმებისა და შინ ჯდომისა. ის ამ ჟამათ ომის გუნებაზეა; მას სურს ძლიერ ფლოტთან ერთათ ძლიერი ჯარიც ჰყავდეს და როცა ამას სისრულეში მოიყვანს—მისი სამხედრო ძალა უჩაღლეს ხარისხამდის ავა. და, რაც უფრო საკვირველია, ამ აზრის არიან არა უკან-ჩამორჩენილი, უვიცი სოფლელები, არამედ მცოდნე და გაგებულნი მოქალაქენი. მაგ. წლევეანდელ არჩევნებზე ლიბერალებმა სოფლებში მიიღეს 518,880 ხმა, ხოლო

კონსერვატორებმა 488,380 ხმა. ლონდონში ლიბერალებმა მიიღეს 1895 წ. 125,950 ხმა. წელს კი 113,640, ესე იგი 12,910 ხმით ნაკლები; კონსერვატორებმა მიიღეს იმავე წლებში 153,600 ხმა და 161,640—ე. ი. 7,860 ხმით მეტი. ერთი სიტყვით, ლიბერალთა გავლენა თანდათან კლებულობს ქალაქებში და მატულობს სოფლებში; კონსერვატორები თანდათან სუსტდებიან სოფლებში და ძლიერდებიან ქალაქებში. ცხადია, მოწინავე პარტიის მოძღვრება ნიადაგს პოულობს უკან ჩამორჩენილთა შორის, ხოლო უკან ჩამორჩენილი პარტიის კი მოწინავეთა შორის! რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ინგლისელი „ტეტია“ გაგონიერდა და გონიერი მუშა „გატეტიავდა?“ არა, არც ერთი და არც მეორე არ მომხდარა. საქმე იმაშია, რომ ლიბერალთა პროგრამა ვერ გამოდგა დროს შესაფ რი პროგრამა; იმდროს, როცა ყოველმხრიდან ინგლის მუშტს უღერებენ და ხმაღს უღესავენ, ლიბერალები გამოდიან და ამბობენ: ნუ უყურებთ ამას, ნუ გვიდაჯარების მომატება, დავეტიოთ ჩვენ ძველებურ ქერქშიო. კონსერვატორებმა, წინააღმდეგ ლიბერალებისა, გამოაცხადეს: ხომ ხედავთ, ომში ვართ ჩამუღლი, ომი ტრანსვაალში, ომი ჩინეთში და ვინ იცის-კიდევ საუ მოგვიხდება ომი. ყველა ამათ თუ შესაფერი ძალა არ დავუბირდაპირეთ—მოგვესევთან და დიდი ბრიტანია პატარა ბრიტანიათ გადიქცევიაო. ეს პროგრამა ნათელი და აშკარაა. აქ უბრალო ფაქტია წამოყენებული და მისი უარისყოფა შეუძლებელი შეიქნა. მას არც ლიბერალები ჰყოფდენ უარს, მაგრამ მეცადინეობდენ მის შემსუბუქებას, საიმისო არა გვიჭირს-რაო. ამით ისინი დიდ ლოლიკურ უკუღმართობაში ჩაცვიდენ, ომიანობაში უარს ჰყოფდენ მხედრობის გაძლიერებას, სამხედრო რეფორმების მოხდენას და გაღონიერებას! და მერე ვის დააჯერებ ამით, თუ არ სოფლელოთ. იმ სოფლელოთ, რომელთა აზრი და გრძობა თავის კერას, თავის ეზოს ვერ გასცილებია? მაგრამ ქალაქელი, რომელიც ყოველ დღეს გაზეთს კითხულობს, ორატორებს ისმენს, კრებებს მართავს, უცხოელებთან საქმე აქვს, ახალშენებისაგან დამოკიდებულია—ასეთი კაცი ამ პროგრამას არასოდეს არ მიემხრობა და თავის პროგრამათ არ გაიხდის. მას, როგორც განვითარებულ ადამიანს, შეიძლება ომი და სისხლის ღვრა ძალიანაც ეჯავრებოდეს, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, სახელმწიფოთა განწყობილება, მას აიძულებს საქირა დროს ომსაც მიმართოს. წართვი ინგლისს ახალ-შენები, დაუკეტე მსოფლიო ბაზრები და ის იძულებული იქნება დახუროს ფაბრიკები და ჩაფხრდეს ბარბაროსულ მდგომარეობაში.

ამიტომ არის რომ ინგლისელი მუშის და მექარხნის ინტერესი საგარეო კითხვაში რამდენიმეთ ერთდება და ეს აბრკოლებს მუშათა პარტიის განვითარებას.

მაგრამ მხედრობის გაძლიერება კიდევ არა კმარა დღევანდელ აწეწილ საქმეებში თავის გასატანათ; საჭიროა ძლიერი მოკავშირე, რომ საერთო ძალ-ღონით თავისი ინტერესი დაიცვა. 1898 წ. პირველ მაისს ინგლისის მინისტრმა ჩემბერლენმა ერთ მიტინგზე სხვათა შორის თქვა: ისტორია გვიჩვენებს, რომ რუსეთი ჩვენ ვერას გვაწყენს, მაგრამ ვერც ჩვენ ვაწყენთ, თუ მოკავშირე არ გვეყოლებაო. და აი, ინგლისმა წელს მოიპოვა მოკავშირე—ეს არის გერმანია. ეს კავშირი სასარგებლოა ორივე სახელმწიფოსათვის. გერმანია ინგლისის დაეხმარება ხმელეთზე, ხოლო ინგლისი გერმანიას ზღვაზე. ასეთ კავშირს კაი ხანია ჰქადაგებდნენ გერმანიაში მოწინავე პარტიები და უარჰყოფდნენ კონსერვატორ-ლიბერალები. გერმანიის კონსერვატორებისთვის ინგლისი—ეს ყოველ-ნაირი თანამედროვე „საშიშროების“ ბუდეა. ამიტომ ისინი მის წინააღმდეგ ჯვაროსანთა ომს ჰქადაგებდნენ მთელ ამ საუკუნის განმავლობაში. გერმანიის ლიბერალები კი ინგლისში ხედავდნენ და ხედავენ დიდ სამრეწველო კონკურენტს. რომლის შებორკვა აუცილებელი საჭიროა. სამაგიეროდ დემოკრატია მომხრეობდა ინგლისს. აი მაგ. რას წერდა ცნობილი გაზეთი „ფორვერტი“ 1896 წ. 26/13 იანვარს: „ბისმარკის ბატონობის დროს—იმას იქით აღარ მივდივართ—მის მიერ მოყიდულ პრესაში (წოდებული Reptilien presse—ქვემძრომი პრესა), რომელიც გერმანიის ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობას შეიცავდა, ინგლისი იხსენიებოდა „ველურ“ ქვეყნათ. მათი აზრით ეს „ველური“ მფარველობს „ანარქიზმს“, იფარავს დამნაშავეთ“, წინ ელობება ყოველგან გერმანიის პოლიტიკას და წარმოადგენს მხოლოდ „მეწვირილიმანეთა“ გუნდს. ჯიან ბული მხოლოდ ძველი სახელით ცხოვრობს, თვარა ამ ბრიტანიის ლომს კბილები—კაი ხანია დაცვინდა, მას შეუძლია მხოლოდ ლომმა და არა კბენაო. ასეთი ტკბილ-ტკბილი სიტყვებით იხსენიებოდა ბრიტანია. მეფე ვილჰელმ პირველის პატივ-საცემათ, რომელმაც მარტის რევოლუციის დროს (1848) ინგლისს შეაფარა თავი, და რასაკვირველია, ინგლისის მადლობელი იყო, ბისმარკის პრესამ ცოტა მაინც უკლო ამ ლანძღვა-გინებას. მაგრამ ვილჰელმის სიკვდილს შემდეგ ბისმარკის გაზეთებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს ინგლისის, ინგლისელების და ასე ვასინჯეთ, ინგლისელ ქალების წინააღმდეგაც კ. შეურაცხყოფას, უსირცხვილო

სიტყვა-პასუხს და თავაშვებულობას საზღვარი არ ჰქონდა... და აი ამ დღიდან თითქმის ყველა კონსერვატიული და ნაციონალ-ლიბერალური გაზეთები, მთავრობის უწყებებითურთ, მუდამ ბეჭდავენ მკაცრ და მომწველელ წერილებს ინგლისის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობას, როგორც ლიბერალურს ისე კონსერვატულს, თავზე ახვევენ უმდაბლეს გრძნობებს, გრძნობებს მხოლოდ პირადი გამორჩენისას და წინააღმდეგობას ყოველივე კეთილშობილური მოქმედებისას. და როცა მეფე ვილჰელმ მეორემ კრიუგერს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა—დიდი ხმაურობით და სიხარულით აყვირდნენ: დროა ინგლისი პატივსაცემ ერთაგან გამოირიცხოსო!

„ამბობენ, ინგლისი მარტოთ არის, ძალა არა აქვსო. მაგრამ განა ყველა თავის შესანიშნავ მოქმედებაში ის მარტო არ იყო? ამბობენ, ინგლისი ეგონისტიაო. სისულელეა. განა არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც ეგონისტი არ იყოს? განა გერმანიის სახელმწიფოს ეგონისტური პოლიტიკის მეტი ოდესმე სახეში ჰქონებია? განა ის პარტიები, რომელნიც ინგლისს ეგონისტობაში დასცინიან მთელ თავის სიცოცხლეში ეგონისტურ პოლიტიკას არ მისდევენ? მაშ რა არის ბაჟების აწევა, ჰურის გაძვირება და სხ. თუ არა ეგონისტური მოქმედება?.. დიახ, ინგლისი ეგონისტია, მაგრამ ამ ეგონისტ ინგლისმა მთელი თავისი ეგონიზმით წაუშლელი და დაუფიწყარი სამსახური გაუწია ქვეყანას, კულტურას, კაცობრიობას. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს. ინგლისმა თანამედროვე ქვეყანა გაათავისუფლა ბარბაროსობისა და მტარვალობისგან. ინგლისის წყალობით ევროპა დახსნილ იქმნა ნაპოლეონის ბატონობისაგან და მაშინ, როდესაც გერმანიის მთავრები ამ „კორსიკელი აზნაურის“ წინაშე მუხლს იდრეკდნენ, ინგლისი, მარტო ინგლისი მას ებრძოდა და რაც უფრო მარტო მით უფრო ძლიერათ და კიდევაც გაარღვია მისი უფროსობა. და როცა ნაპოლეონის დაცემას შემდეგ ევროპას „წმიდა კავშირი“ მოევიდნა—კავშირი ხალხთა წინააღმდეგ მიმართული—მხოლოდ ინგლისმა განაცხადა წინააღმდეგობა და ეს კავშირიც გაარღვია..... ყველა ეს საკმარისი საბუთია, რომ რეაქციონერთ ინგლისი სძულდესო“.

აი ასე უყურებს გერმანიის მოწინავე პარტია ინგლისს და რაღა ვასაკვირველია ინგლის-გერმანიის წლებანდელ დაახლოვებას თანაგრძნობით შეხვედროდა. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამას რეაქციონერებიც თანაგრძნობით მიეგება, რაიცა მათი გაჭირვებული მდგომარეობით


უნდა აიხსნას. და მართლაც, გერმანიის ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ ინგლისის დახმარებით შეუძლია ჩინეთის ბაზარი დაიხლოვოს და ზღვებზე ცოტა-ოდენი ხმა მოიპოვოს. მთავრობის უკანასკნელი მიზანია „Weltpolitik“—საქვეყნო პოლიტიკა, ე. ი. მთელი ქვეყნის ავ-კარგი მას ეკითხებოდეს და უამისოთ არაფერი წყდებოდეს. მაშასადამე ძლიერი მოკავშირე მისთვისაც სასარგებლოა. და ვინ იქნება ასეთი თუ არ ინგლისი. მეორე მხრით, ასეთი პოლიტიკის წარმოება მოითხოვს ენერგიულ მეთაურს და აი, სუსტი კანცლერი, ჰოპენლოე გადადგა და მის ალღვას ბიულოვი დაინიშნა. ამ ჟამათ ბიულოვის შემოსვლა სამინისტროში არ ექაშნიკათ კონსერვატორთ, აგრარებს და მათ მეთაურს, მინისტრ მიკელს. დღეს გერმანიაში გაცხარებული დავაა უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელ-შეკრულობათა შესახებ. ამ ხელშეკრულობას, აშენებულს ბაჟების დაწვევის პრინციპზე, ვადა მიუღის 1901-ში და საჭიროა მათი განახლება. მარა როგორ, რა სახით? და აი გერმანიის მემამულეთა სურვილია უცხოეთის სამეურნეო ნაწარმოებთ ბაჟები მოუმატონ და მათ ფასი ასწიონ შინაურ ნაწარმოებზე. და, რადგანაც ამ ნაწარმოების გამყიდველნი თვითონვე არიან--სარფასაც დიდს ნახვენ. მაგრამ ასეთი ზომა უცხო სახელმწიფოთა მიმართ გამოიწვევს ასეთსავე ზომებს გერმანიის მიმართ. გერმანიის საქონელს დიდ ბაჟს დაადებენ და ამით გერმანიის მრეწველობა დაიწვევს, რაც ასე საზარალოა შრეწველთათვის. მაშასადამე ბაჟების მომატება ამძლავრებს მემამულეთ და ასუსტებს მრეწველთა და მათთან ერთათ.მუშებსაც, ხოლო მოკლება ამძლავრებს უკანასკნელთ და ასუსტებს პირველთ. და რადგანაც ხალხის დიდი უმრავლესობა პურის მყიდველია, ცხადია ნაციონალური პოლიტიკა უნდა იყოს ბაჟის დაწვევის პოლიტიკა და აი, ამ აზრის არის ახალი კანცლერი ბიულოვი.

ამნაირათ, ახალი კანცლერი ახალი დროის ნამდვილი მეთაურია. დიდი ბაზრების მოპოება გარეთ, ბაჟების დაწვევა შიგნით—აი მისი მიზანი და ეს არის იმავე დროს მიზანი გერმანიის ბურჟუაზიისა. პირველ საქმეში ბიულოვს ემბრობა კონსერვატორთა პარტია, გერმანიის „weltpolitik“ ამათი ბაირალიც არის; სამაგიეროთ მეორე საქმეში ის მას ეწინააღმდეგება და ბაჟების დაწვევას ყოველი ღონისძიებით ებრძვის.

მეორე მხრით, ბაჟების დაწვევას თანაგრძნობით ეკიდება მუშა-ხალხი, ხოლო ეწინააღმდეგება weltpolitik-ს, ვინაიდან ეს მეტ ხარჯებს და მეტ გადასახადებს ითხოვს.

ამ სახით, პარტიათა განწყობილება გერმანიის ში დღეს ასეთია: ბურჟუაზიას ერთი ხელი შორეულ აღმოსავლეთში აქვს გაწეული თავისკენ მოსახიდათ, ხოლო მეორე სამშობლო საზღვრებისაკენ მათ დასაწევათ. პირველ შემთხვევაში მას გვერდში უდგანან კონსერვატორები, მეორე შემთხვევაში მუშა-ხალხი ბურჟუას სურს მისი საქონელი ყველა სახელმწიფოში საღებოდეს და თან რაც შეიძლება ძვირათ; კონსერვატორს (აგრარული) სურს გერმანიაში მხოლოდ მისი პური იყიდებოდეს და ეს რაც შეიძლება ძვირათ; ხოლო მუშას სურს ქირა მეტი, პური იაფი, გადასახადი ნაკლები. და აი ყველა ეს ერთმანეთს ებრძვის და ვინც უფრო ძლიერია ის გაიმარჯვებს. ეს ბადებს ამივე დროს უთანხმოებას მინისტრთა შორის. ბიულოვის ლიბერალური პოლიტიკა ხვდება მიკელის აგრარულ პოლიტიკას და ეს არყვეს მთელ სამინისტროს.

არა ნაკლებ რყევაშია ვალდეკ-რუსოს სამინისტრო საფრანგეთში. ეს სამინისტრო შედგა კლერიკალთა და მონარქიელთა ასალაგმავათ, მაშასადამე ეს არის ბრძოლის სამინისტრო და ამიტომ მისი წევრები თითქმის ყველა რესპუბლიკანელ პარტიას ეკუთვნიან. აქ არის რადიკალი, ზომიერი, სოციალისტი, პროგრესისტი და სხ. ესენი შეერთდენ ერთ საქმეში—რესპუბლიკა დაეცვათ მტრებისაგანო. სამინისტრო ამის მუშაობაშია ეს რამდენიმე თვეა და მიზანს კიდევაც მიაღწია. რესპუბლიკის მტრები აილაგმა, კლერიკალთა მოძრაობა შესუსტდა და დადგა ხანა რეფორმატიული მოქმედებისა. მაგრამ რეფორმის საქმე თითოეულ მინისტრს სხვა-და-სხვანაირათ ესმის. ზომიერის აზრით, რეფორმა საჭირო არ არის, დაეცვათ ის რაც არის და ქვეყანა აშენდებოთ; რადიკალი ფიქრობს რამე უნდა გავაკეთოთ, განსაკურთებით მუშა-ხალხისთვის, ისეკი, რომ კაპიტალისტს არა დააკლდეს რაო. სოციალისტი კი შორს მიდის, ის ამბობს, კაპიტალიზმი სრულიად უკანონოა, ხოლო მისი დარღვევა კი კანონიერი, მაშასადამე, ყოველივე რეფორმა მიმართული უნდა იყოს კაპიტალისტურ ცარცვის წინააღმდეგო. ამ ნაირათ, ვალდეკის სამინისტრო გაჭირვებაში ჩავარდა. არაფერს გააკეთებს—რადიკალები და სოციალისტები წინაღუდგებიან, მუშებს მიემბრობა—ზომიერები და რადიკალები შეებრძოლებიან და ცუდ დღეს დააყენებენ. ვალდეკ-რუსოს ყოველი მხრიდან ეკითხებოდენ, აბა თქვი რა გსურსო. ამის პასუხათ მან წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა და ქვა ის, რომ... არაფერი არ უთქვამს. მან ვერ წარმოადგინა რეფორმების პროგრამა და ეს იმიტომ რომ სასწორი ვერც ერთ მხარეს ვერ გადახარა,



ხოლო უამისოთ კი რეფორმა შეუძლებელია. გამწვავებულ ბრძოლაში სასწორის სწორეთ დაჭერა ნიშნავს სრულ უმოქმედობას. და სწორეთ, ასეთი გზა აურჩევია საფრანგეთის სამინისტროს. პარლამენტი, უეჭველია, ამით არ დაკმაყოფილდება და სამინისტროს აიძულებს პროექტების წარმოდგენას, რაც გამოიწვევს უთანხმოებას მინისტრთა და მათ პარტიათა შორის და სამინისტროს დაცემაც აუცილებელი გახდება. და აი, 23 - 24 ოქტომბრის ახლათ გახსნილმა სხდომებმა „ბეწვზე“ დაჰკიდა სამინისტროს სვე-ბედი. პარლამენტმა მოიწონა ვალდევის მიერ დაწუნებული ორი წინადადება, და ის იყო კაბინეტიც სულს დაფავდა, მაგრამ ბოლოს მიღებულ იქმნა წინადადება, რომლითაც ნდობა ეცხადებოდა სამინისტროს საერთო მოქმედებას. კაბინეტმა გაიმარჯვა, მაგრამ დამცირდა კი. ამ ბრძოლაში ვალდევმა ერთი გმირული საქმე მოიმოქმედა, მან უარპყო წინადადება, რომლითაც „იკიცხებოდა კოლექტივისტური (სოციალისტური) მოძღვრება ქ. ლანში მილიერანის მიერ წარმოქმული“, რაიცა პარლამენტმა მიიღო 254 ხმით წინააღმდეგ 214 ხმისა. საზოგადოთ საფრანგეთის პარლამენტში დიდი ქარიშხალია მოსალოდნელი.—საგარეო პოლიტიკაში საფრანგეთს შესანიშნავი არა ჩაუდენიარა, გარდა იმისა. რომ ის რუსეთთან ერთათ შეუდგა ჩინეთის საქმეების მოწყობას... მეორე მხრით, მისი ინგლისთან განწყობილება მეტათ გამწვავდა და ეს განსაკუთრებით ნაციონალისტთა და სხვა შემთხვევის მაძიებელთა აგიტაციით. ომი ინგლის-საფრანგეთის შორის დიდი უბედურობაა კულტურისათვის და ბედნიერება ბარბაროსათვის. და აი, ამ მოსალოდნელი უბედურობის წინააღმდეგ ხმა აღამალლა ინგლისის ტრედ-უნიონებმა და თავის უკანასკნელ კონგრესზე გადაწყვიტეს ადრესით მიმართვა საფრანგეთის მუშათათვის. ეს მიმართვა მოხდა 16 ოქტომბერს პარიჟის შრომის ბირჟის დარბაზში. ინგლისის მუშათა დელეგატებმა (რიცხვით 28) აუარებელი ხალხის თანადასწრებით წაიკითხეს გამოგზავნილი ადრესი, ადრესი ორივე ქვეყნის ხალხთა კავშირის და ერთობის გამამტკიცებელი...

ასეთია ვეროპის დიდ სახელმწიფოთა დღევანდელი მდგომარეობა.

ბ. ჟორდანი.

სხვა-და-სხვა ამბები

ბღეს, 5 ნოემბერს, თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართ. დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრება შედგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თულ ერთათ ერთ ყოველ-დღიურ გაზეთს კრევმატება მეორე ყოველ-დღიური გაზეთი—ეს არის, აქამდის გაზეთის ხასიათს მოკლებული „ცნობის ფურცელი“, რომლის პროგრამის გაფართოებაზე უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს. ეს პირველი მაგალითია ჩვენი პრესის ისტორიაში რომ ერთ და იმავე დროს ორი ყოველ-დღიური გაზეთი იცემებოდეს და იმედია ამას დაათვასენ როგორც მკითხველები, ისე რედაქციებიც.

კვირას, 29 ოქტომბერს თფილისის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა „სახალხო კითხვათა კომისიის“ წევრთა კრება. კრებაზე გამოირკვა, რომ სახალხო კითხვებს ხალხი თანდათან ნაკლები ესწრება. კრებამ დაავალა კომისიას გამოიძიოს ამის მიზეზი. ბოლოს მოხდა კომისიის და სათვატრო სექციების წევრების არჩევანი. არჩეულ იქმენ ისევე ძველები.

ოდესის ქაროველ სტუდენტებს გადაუწყვეტიათ შეპკრიფონ და სერიებათ გამოსცენ პუბლიცისტური ნაწარმოები გაორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის.

ქართველმა ფარმაცევტებმა ბ. ი. ალხაზიშვილის მეთაურობით თფილისში გახსნეს აფთიაქის მაღაზია (მუხრანის ქუჩაზე, სასამართლოს პირდაპირ) ამ სახელით: „ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობა სააფთიაქო საქონლის ვაქრობისა თფილისში“. ფირმა არის ბ. ალხაზიშვილის სახელზე.

გამოსაძიებლათ იმ უწყსოებისა, რომელიც წელს რკინის-გზის სახელონოებში და თვით მატარებლების მიმოსვლაში მოხდა, პეტერბურგიდან ჩამოვიდა საგანგებო კომისია გზათა ინსპექტორის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრებია: იოლშინი, ორლოვსკი და სიმბერგი. კომისია უკვე შეუდგა თავის საქმეს. ის ამ ჟამათ იძიებს ზაფხულის უწყსოების მიზეზებს, შემდეგ გაემგზავრება ბათომისაკენ, ბაქოსაკენ და ყარსისაკენ გზების მდგომარეობის ადგილობრავათ შესამოწმებლათ.

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის ბ. ვედენევის შუამდგომლობით გზათა სამინისტროს ნება დაურთავს ნაწილი იმ მუშებისა და მაშინისტთა თანაშემწეთა, რომელნიც წელს ზაფხულში დაითხოვეს სამსახურიდან, ხელახლა იქნეს მიღებული სამსახურში.

საქართველოს
საქართველოს

29 ოქტომბერს თფილისის მექარხნემ გ. გ. ადელხანოვმა ილდესასწაულა თავისი ფაბრიკა-ხავოდების 25 წლის არსებობა. ილდესასწაულს დაესწრო ბევრი საზოგადოება. აი რამდენიმე ცნობები მისი ხავოდების შესახებ: პირველი ტყავის ქარხანა ადელხანოვმა დააარსა 1875 წ. მას მერე მან მიუმატა ფაბრიკა მატყლეულობის, ფეხსაცმელების, საგზაო ნივთების და ბოლოს კავკასიის ჯარების ტანსაცმელების. ამ ჟამათ ტყავის ფაბრიკაში (ორთაქალაში) მოზდილ მუშათა რიცხვია 280 და 30-მდი ბავშვები. აქ მოძრაობს ორი ორთქლის ქვაბი 60 ცხენის ძალის, სამი ორთქლის „ნასოსი“, ერთი ორთქლის მანქანა, ერთი დინამო-მანქანა და სხ. საჭირო მანქანები. მატყლეულობის ფაბრიკაში (მნაცაკანოვის ხილთან) მუშაობენ 120 მამაკაცი და 40 დედა-კაცი; აქ მოქმედებს სამი ორთქლის ქვაბი 90 ცხენის ძალის, სამი ორთქლის მანქანა 80 ცხენის ძალის, ერთი ბენზინის მატორი 20 ცხენის ძალის და 80 სხვა-და-სხვა მანქანა. საგზაო ნივთების ფაბრიკაშია (ვარანცოვის ქუჩა) 60 მუშა, ამათში 48 მოზდილია და 12 ბავშვები. მუშაობს 36 სხვა-და-სხვა მანქანა. ფეხსაცმელების ფაბრიკაშია (იქავე) 460 მუშა, ამათში 400 მამაკაცი და 60 დედა-კაცი. მუშაობს 100 სხვა-და-სხვა მანქანა. ჯარების ტანსამოსის ფაბრიკაში (ნავთლულში) არის 450 მუშა, ერთი ორთქლის ქვაბი 30 ცხენის ძალის და 120 სხვა-და-სხვა მანქანა. ყველა ეს ფაბრიკები ეკუთვნის კამპანიას, რომლის სათავეში თვით დამაარსებელი ბ. ადელხანოვია.

28 ოქტომბერს ქუთაისში მომხდარა სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდის“ წევრთა კრება; კრებას ამოუჩინებია გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში ამოუჩინებიათ: ლორთქიფანიძე, ჯაფარიძე, ვ. თუმანოვი, კობეშვიძე, ლალიძე და ამათკანდიდატათ ბეჟანეიშვილი, კვიციანიშვილი და ჭიჭინაძე. სარევიზიო კომისიაში: ძაწენიძე, გოცირიძე და პურალოვი.

დღეს ქართულ თეატრში წარმოადგენენ „სამშობლოს“ და ვოდვეილს „დედის ერთას“.

ჩვენ მივიღეთ დ. კლდიაშვილის მოთხრობა „ქამუშაძის გაჭირვება“, რომელიც „მოამბეში“ იბეჭდებოდა. მოთხრობა, როგორც ერთხელ ვთქვით, მეტათ საინტერესოა და ღირს, სამწუხაროთ, ერთობ ძვირათ—50 კ.

„კეკელის“ კორესპონდენტები

სხალციხე. საქართველოში თითქმის ძვირია იმისთანა მანქანა, სხალციხეში 10—15 სოფლის სკოლა არ არსებობდეს მაინც, ხოლო გურიაში 40-ზე მეტი სამინისტრო სკოლაა და 30 სამრეწველო. მცხოვრებთა რიცხვი 60,000 ათასს არ აღემატება, სხალციხის მანქანაში კი გურიაზე ბევრათ მეტი ხალხი ცხოვრობენ და სულ 2—3 სსოფლო სკოლაა და ისიც ცენტრალ-მკვლარსავით ძლივს ფუთქავს.

სხალციხეში კი, სხალციხეში 20,000 მცხოვრებთა ერთი სამოქალაქო სასწავლებელია და 3 ერთ-კლასიანი პირველ დაწესებულებითი სასწავლებელი, ამათში ერთი, ქართველ-კათოლიკეთა სკოლა, თითქმის არავითარ ნაყოფს არ იძლევა. ეს სკოლა 50 წ. რაც არსებობს. განსვენებულმა მსწავლელმა ანდრეძი დატოვა კათოლიკეთა შვილებმა ისწავლან მუქათათ, ხოლო სიდიან, რომელა წყაროდანა, ეს ანდრეძი არაა მისენებულე ამ ანდრეძის სისრულეში მოსაყვანათ წ. იახე ნათლის მცემლის ეპიკლეისას გადაუდგია 3,000 მ., რომლის სარგებელით ინახუდენ დეკანდლამდე ამ სკოლას, მარა ვაი იმ შენახვას! ამ თანხის სარგებელი არ აღემატება 150—180 მანეთს. ეს ფული ჭეოფინის 5—6 თვეს წელიწადში, დანახენ დროს კი სკოლა დაკეტილია

ეს ორი-სამი წელიწადია სკოლის მზრუნველებმა დაწესეს გადასახდათ 3 მან. წელიწადში თვითყოულ მოსწავლეზე, მარა ეს ფული არავის არ შეაქვს: ხალხი დედავს, როგორ თუ ფული გადავიხადეთ ჩვენი შვილებს გაზრდაში; ანდრეძის ჩვენთვის დატოვებული, რომ შვილები მუქათათ გაგვეზარდესო და აქამდის თუ გვიბდიდენ, ახლა რაღა დამართათ. ის კი ავიწყლებათ, რომ წელიწადში 3—4 თვეს იყო ხოლმე დია სკოლა და ამ ხნის განმავლობაშიაც რიგიანათ არა სწავლობდენ მათი შვილები.

ჩემი აზრით, თუ კი ხალხს ეხარება ამ მცირე სწავლის ფულის გადახდა, კარგი იქნება ამ სკოლაში სამმა მრეწველმა, რომელთა შვილები აქ იზრდებიან, თავისი ეკლესიების წყაროთაგან შეიტანონ თითქმის 100 მან. წელიწადში, რაც შეადგენს 300 მ. და ეს მიუმატონ უწინდელი თანხის სარგებელს, რომელიც ერთათ 500 მანეთამდის შედგება. ამ ფულით ორი მასწავლებლის დატოვება შეიძლება და საქმეც რიგიანათ გაწეს-რიგდება.

აქეთ, წელს ჰური და ქერი ბევრათ ნაკლებია ვინემ წინა წელს. ხილიც (ვაშლი და მისხალი) ნაკლებია, მარა სუფთა კია. ჰური მანეთია ფუთი, ფქვილი 120 კ. ქერი 60 კ. ვაშლი კი 6 მანეთამდია ფუთი.

გაგურულბული მესხი.

დვბიშის საზ. (გურია). დვბიშე მდებარეობს ცხურგეთიდან აღმოსავლეთით ორი ვერსტის მანძილზე. ეს სოფელი ოთხსამდე თუ ცოტა მეტი სხალციხიდან

შედგება, რომლებიც წოდებრივად განიყოფებიან სამ ნაწილად: სასულიერო წოდება, აზნაური და გლეხი. არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა და შემსახველ გამსესხებელი კასა.

ათხი თუ ხუთი წელიწადის მას შემდეგ რაც ადგილობრივმა მთავრობამ წინადადება მისცა სოფ. სკოლის ორ კლასიანთა გადაკეთებისა. სინარულით მიეგება ამ კეთილ მოსახრებას აქაური ინტელიგენცია, ბევრს ეცადენ ჩაეკონებიათ ხაღხისთვის თუ რამდენათ სასურველი მოგვლენა იქნებოდა მათთვის სკოლის ორ კლასიანთა გადაკეთება, მარა ეოველმა ცდამ, მათი თუ მთავრობის მხრივ, უნაყოფოთ ჩაიარა და წინადადება წინადადებათვე დარჩა. მას შემდეგ ბევრმა წყაღმა ჩაიარა და ამ საგანზე ხმას არავინ იღებს და თუ ვინმემ რამე სთქვა, იმასაც „საქმე დალეულს“ ეძახიან. თუ არ ვცდებით, შარშან აუფ რომ ერთი წერილის ავტორმა გაზ. „კვალის“ თურცლებზე გვასწავს: „დვანბუმე წიგნთ საცავ-სამკითხველს ნება, რთვა მიიღო და საცა დაასრულებო“. დიას ბ-ნო, ხუმროთვა დიდი ხნის მივიღეთ, მარა დაასრულებს კი რა მოგახსენოთ! საქმე იმაში გახლავს, რომ როგორც ქართველობას მუდამ ჩვევია, სამკითხველს დაასრულებს გამიწვია აქ შოფთი. მიწვე-მოწვევა და „შენ თუ გინდა მეც მინდა“-ს ძახილი. აქვე საჭიროთ ვთვლი მკითხველს ვაცნობ რამდენი სოფლიდან შედგება დვანბუმის საზ. და ან მათში რომელი უფრო დაშორებულია „ცენტრზე“. ეს საზოგადოება შედგება ხუთი სოფლიდან: თვით დვანბუმე, მეღუქქელური, ჭალა, ბახვაური და ექვანია. ამათში სხვაზე უფრო დაშორებულია „ცენტრზე“ ე. ი. საზოგადოების სამმართველოზე ექვანია გახლავს. მიიღეს თუ არა ნება-რთვა გამართეს კრება კრებაზე, (ერთი ამ კრების გადაწვეტილება „კვალშია“ იყო დაბეჭდილი), ამიერიეს გამკება და სს. და შეუდგენ გარჩევას თუ სად უნდა ეოფილიყო დაასრულები სამკითხველო. აი, ამ კითხვამ ჩამოაგდო შოფთი და აურ-ზაური. ერთმა ნაწილმა (დვანბუმე), არ მიაქცია უურადლება არც სკოლას, არც სასამართლოს და გაიძახოდა: „თქვენ თუ კლასი და კანცელარია გინდათ, ბიბლიოთეკა მაინც ჩვენი იუოსო“ ეს სიტყვები გახლდათ მიმართული ბახვაურელებზე, რომლებიც სამართლიანათ ამბობდენ: „სადაც კლასია, სამკითხველოც იქ იუოსო“. ხსენებულ კრებაზე, რომელზედაც ეს არა სასამართლო ამბავი მოხდა, ერთი თუ ორი ზირო მადლადტის სახელითაც კი მოხატულეს. ამ გვართ ამ კრებამ ვერაფერი დაადგინა მის მეტი, რომ ორი სოფელი ერთმანეთს გადაჭკიდა. ეს კითხვა დღემდისაც უუურადლებოთ არის დატოვებული. ხსენებული „სამკითხველო“ ერთი დვანბუმელი აზნაურის სახლის კუთხეში შკაფის თავზეა მოთავსებული: თვითონ აზნაური კი გაიძახის, თუ დვანბუმე არ დაასრულს სამკითხველო რაც გასეთები „მომდის“ ან წიგნები, ეველას ცენტრში ჩაწვამო!

დვანბუმელები თავის აზრს იმაზე ამყარებენ, რომ სკოლა და სასამართლო ჩვენზე შორს არის და, სამკითხველოც თუ იქ იქნა დაასრული, ჩვენთვის ხელ მიუწვდენელი იქნება. ეს მართალია, მაგ. დვანბუმე უფრო დაშორებულია შედარებით სკოლა და სასამართლო, ვიდრე ბახვაურზე, მარა დვანბუმელები იმას ნუ დაივიწყებენ, რომ ამ დაწესებულებაზე მათზე უფრო დაშორებულია სოფ. ექვანია, რომელიც საზოგადოების მეორე ბოლოშია მოქცეული. ამას რომ უურადლება არ მივაქცით სოფ. ექვანის მცხოვრებთა რიცხვის სიმცირით, ჩემი აზრით სამკითხველო მაინც სკოლასთან და სოფლის სასამართლოსთან უნდა იუოს მოთავსებული. ზირველთან იმიტომ, რომ ერთ-ერთ სკოლის შეკიდეს მასწავლებლის დასმარებით შეუძლია „ბიბლიოთეკის“ თანამდებობა დასრულოს და მეორესთან იმიტომ, რომ იქ მუდამ ბევრი სახლი იურის თავს, ზოგი საქმისთვის და ზოგიც უსაქმურათ და რცა მათ იქვე სამკითხველო თვალში შეეხირობათ, წაბადვიოთ თუ თავის სურვილით შიგაც შევლენ. დვანბუმე იმასაც ამბობს სკოლა და სასამართლო ჩვენზე უნდა გადაიტანათ. კეთილი და ზატიოსანი, თუ ეს ერთმანეთთან მორიგებით გაკეთდა. რომ გაკეთდეს კიდევ განა მატერიალურათ შევიწროებული საზოგადოება შეიძლებს გადატანას? ჯერ-ჯერობით, სინამ სკოლა და სასამართლო თავის ალაგას არის, შეუძლებელია სამკითხველოც მათ დაშორდეს; დაშორება კი არ შეიძლება 1: ზემო მოყვანილი მიზეზების გამო. 2: თუ საჩვევლობის მოტანას არ მივაქციეთ უურადლება და დვანბუმელების ალაგას დაასრდა (ამიერიეს მინდობი სასამართლო), იმ შემთხვევაში მისთვის საკუთარი სახლია საჭირო, მაშინ როდესაც სკოლის ერთ ოთახში შეიძლება მოთავსდეს ბიბლიოთეკარი და სხვ. რასაკვირველია ამდენი ხარჯი უკან დასწავს უმართლაც მატერიალურათ დაცემულ საზოგადოებას და ეს არა სასურველი მოგვლენა კი მართლ დვანბუმელების მეხებით იქნება. ამ თავით კი ჩემი აზრით უკეთესია იქ დაასრონ სადაც ეოველი მხრიდან გარემოება ნებას აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც საქმიდან ჩანს, რაც მიუღიათ იმასაც დაჭკარვეენ და ხელ ცარიელი დაჩქებან.

გ. არბელიძე.

ქ. თოთი. 26 ოქტომბერს, ქ-ნ ან. მიქაბერიძის თაოსნობით გაიმართა ქართული კონცერტი ბ-ნ ავქს. მეგრული ლობტარობით, ადგილობრივ საქალბო ორ-კლასიან წმ. ოლლას სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ. ამ კონცერტს მოჰყვა ლეკური და ვეროპიული თამაში, რომელმაც გასტანა ბოლომდის. რადგან კლუბის დარბაზი ქალაქის ინჟინერის მიერ სიძველის გამო ცნობილ იქნა უვარგისათ კონცერტისათვის, ამიტომ იძულებულ იყვენ კონცერტი გაემართათ ქალაქის საბჭოს დარბაზში, რომელიც მეტისმეტათ უხერხული იყო ამ შემთხვევისათვის. მიუხედავად

ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზებისა, კონცერტმა ძლიერ კარგათ ჩაიარა. თითოეული სიმღერა საზოგადოების თხოვნით ორ-ორ ჯერ იქნა გამეორებული, ტაშის ცემას და „ვაშას“ ძახილს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა. საზოგადოებაც ურიცხვი დაესწრო, რასაც ამტკიცებს 500 მანეთამდის შემოსავალი. დიდი მადლობის და პატივცემის ღირსია ქ-ნი ან. მიქაბერიძისა, რომელიც თავის ძალ-ღონეს არ ზოგავს ამ კეთილ საქმისათვის და ყოველ წლობით მართავს ქართულ კონცერტებს და წარმოდგენებს ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეების სასარგებლოთ. იმედია ჩვენი მოზარდი თაობა დააფასებს ამდენ შრომას ამ ფრიად პატიოსანი და დაუღალავი მანდილოსნისას.

ორიოდე სიტყვა თვით მომღერალთა გუნდის შესახებ: სულ სამი კვირა არ არის რაც ბ-ნ ვარლამ ლოლუას თაოსნობით შედგა ამხანაგობა ანუ მომღერალთა გუნდი, რომელსაც აზრათა აქვს კარგათ შეისწავლოს ნოტების დახმარებით ქართული სიმღერები და შემდეგ, დრო გამოშვებით, მართო კონცერტები სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო მიზნით. ამ გუნდს სიმღერებს ასწავლის სრულებით უფასოთ ბ-ნ ავქს. მეგრელიძე. დიდი მადლობის ღირსნი არიან ბ.ბ. ვ. ლოლუა და ივ. მეგრელიძე ამ კეთილ საქმის დაწყებისათვის, აგრეთვე დიდი პატივის ცემით ვინსენიებთ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სულით და გულით შეუდგნენ ამ ფრიად სიმპატიურ საქმის განხორციელებას. ვიმედოვნებ, რომ ეს პატივცემული გუნდი არ შეუშინდება არავითარ დამაბრკოლებელ მიზეზებს და ენერგიულათ განაგრძობს დაწყებულ საქმეს, ამ გუნდის თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეული იქმნა ცნობილი ქველ-მოქმედი ქალი ქ-ნი პარასკევა ქავთარაძისა.

აქაური.

რ ა ი ნ დ ი უ შ ი უ პ რ ი . *

(ნაწყვეტი პოემიდან).



შეხერდი, მგზავრო, თორემ ინანებ!
ბევრი მინახავს შენზედაც მარჯვე,
რომ ჩაქკეტოდას ამ გზაზე მუხლი
და, შემგრთაღს, ზირი ექნას უკანვე!

რჩეულ-რჩეული ვაჟკაცნი იუვენ,
მაგრამ არ ეუთ იმათაც დონე...
მგზავრო, ბევრია სხვა უფრო ფართო
და ადვილი გზა, მე გამოგონე!

* (ძველი და ახალი თაობის ისტორიიდან).

— „გმადლობ, მოხუცი! ეგ სხვეს უნდა გე
და მე კი გზიდან ჩამომეტყუე!
ვინც გამობრუნდა გულ-გატეხილი
შენ ის იტირე და შეიბრალებე.“

მე სხვა ამბავიც გამოგონია:
აქ მისთანები უოფილან წინათ,
რომ სიკვდილამდის უგლიათ ამ გზით
და მტრის წინ ქედი არ მოუხრიათ.“

— „თავ-მომწონე, ხარ, ემსწვილო მგზავრო,
და შეკრდში გიფუტქს ამაჟი გული...
ეს, გამახსენა შენმა სიტყვებმა
ძველი ამბავი, დრო გადასული.“

მაშინ, როდესაც შემკრთალი ხალხი,
ზარ-დაცემული უკან მობრბოდა
და ვერ ბედავდა ამ გზაზე გასვლას, —
ერთი ზატარა გუნდი გამოჩნდა.

კურთხეულ იყოს მათი სახელი!
თავი გასწირეს გმირებმა ერთ-ხმით,
წინ გაიწიეს, ასტეხეს ომი,
და ყოველ ნაბიჯს იცავდნენ შედგრათ.

სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა მაშინ...
გუნდი თანდათან ცოტავდებოდა,
მაგრამ ცოცხალი თავ-განწირულ რაზმს,
ძმაო, არც ერთი არ აკლდებოდა.

ყოველი მხრიდან მტერს იგერებდნენ
და გზას ჭკაფავდნენ შეუჩერებლათ...
ერთ საუფარველ აზრს, ერთ წმიდა მცნებას,
სულ თითო-თითოთ დაეკენ მსხვერპლათ!

ვინ ამხნევებდა მაშინ იმ გმირებს?
ვინ გაუმაგრა ბრძოლაში მხარი?...
ეს, მგზავრო, მგზავრო... გაუფელე გზაზე
ვინც გადის, მისთვის მოძმე სად არი?

ნუგეშის ნაცვლათ წვევლა ესმოდათ
იმათგან, ვისაც შესწირეს თავი,
მაგრამ არ გატულა გმირების გული
და არ შესუსტა ბოლომდის მკლავი...

ახლა მათ საქმეს ზღაპრით ამბობენ,
უკვდავი დარჩა მათი სახელი,
და ჩვენში ბევრი უმწველი გული
ჭიქოქს, იმ მამაცთა ბედის მნატურელი.

მე მოველოდი ახალ მეომრებს,
იმედი დიდ-ხანს არ მიქრებოდა,
და ეოველ რაინდს, ამ გზასზე წასულს,
მონუსის ღოცვაც თან მიჭეკებოდა...

მაგრამ დაბრუნდენ უკანვე ეველა,
ძნელი ეგენათ აქ სიარული!
სჩანს, მომატყუა ჩემმა ცნებამ...
იმედი გაჭქრა, მომიკვდა გული...“

— „ველაუ განიხლე გული, მოხუცო,
შენთან მოვსუღვარ მე მსხრობლათ:
ძველი გომრები, აქ რომ იბრძოდენ,
არ დარჩებიან, იცოდე, თბლათ!

დღეს ხსავ იმას, ვისაც ელოდი!
შენი სიზმარი აღსრულდა ცხადათ:
მოდის რაინდი თავ-განწირული
გზის საკაფეკლათ, მტერთან საომრათ!

და ის, გვერდდეს, ბრძოლის ველიდან
არ დაბრუნდება იმედ-მიხდილი!
მანაც დასწერა თავის დროშასზე:
„ან გამარჯვება, და ან სიკვდილი.“

ის მეომარი მხურვალე ღოცვით
შენ შეავდრე ეოვლად შემდეგებელს,
რომ დაეხმაროს თავის განკებით
და უმართავდეს მას ამ გზასზე ხელს!..

რათ მომხერდი, მოხუცო, აგრე?
ჩემი სიტყვები შენ გაიოცე?
გინდა, რომ ხსნო თვითონ რაინდი?...
იგი შენ წინ დგას — გზა დამიღოცე!“
ი. წ—ელი.

წერილი ქართლიდან

(ლენხურის ხეობა)

როგორც სამხრეთ კავკასიის ტიპის შეადგენს მრავალ-ტანჯული და ბურჯი სრულიად საქართველოსი, ჩვენ ძველი და დღეს ჩამორჩენილი ქართლი, აგრეთვე სემოხსენებული ხეობაც შეადგენს შუაგულს ქართლისას და მას

ეწოდება ეს სახელი იმ მდინარის გამო, რომელიც ჩამოდის ამ ხეობაში და რომელსაც ჭქვია ჩვენ დროში — ლენხურა. ამავე ხეობას ზოგჯერ კიდევ უწოდებენ „ჭაღის“ ხეობას. ამ სახელის წოდებასაც თავისი საბუთი აქვს: ზირველი ის, რომ აქ ბევრი ჭაღებია და მეორე ის, რომ ამ ხეობაში მდებარეობს ერთი შვენიერი სოფელი, რომელსაც ჭქვია ქვემო ქალა და რომელიც ითვლება უმთავრეს სოფლათ ამ ხეობაში.

ეს ხეობა ეველასგან მივიწეებუღია და კარკათ ვერ ვიციხობთ ჩვენ, ქართველები, არამც თუ სხვა მხარეს მცხოვრებნი, არამედ თვითონ ამ ხეობის შვილიც კი. ჩვენმა ნასწავლებმა ეველამ განურჩევლათ უკეთ იციან უცხო სახელმწიფოების ქვეყნები და ზირებები, ვიდრე თავიანთი სოფლისა და სამშობლოსი. მართალია ზოგიერთ საქართველს ხეობებს და სოფლებს დღეს მწერლობაში თავის ჭირისუფლები და მხრუნველნი ჭევათ, მაგრამ ჭაღის ხეობას კი ამ მხრივ ბედი არ ჭქვინია. იგი ეველასგან მივიწეებუღია, არ ვიცი კი რათ, და კარდა რამდენიმე ისტორიული წერილების ერთი ხატივცემული მდგლის მ. კ — შვილისგან მასზე ვგონებ არაფერი საუბრადღებო არა დაწერიღარა. რომ ცოტათ თუ ბევრათ შევავსოთ ეს ნაკლი, ჩვენ ვეცდებით ეს ხეობა მოკლეთ აწეროთ და საჯაროთ გამოვაქვეყნოთ აქაური ავიც და კარტიც.

ლენხურის ანუ ქალის ხეობა მდებარეობს ქსნის ხეობისა და მინდორ ტირიფონის შუა, იწეება სადგურ და სოფელ კასშიდან და შედის მთებში ჩრდილოეთით ქაღათსა და ცხრაწარმდის, რასაც ექნება სულ 60—70 ვერსტი სიგრძე, ხოლო სიგანით კი ძალიან ვიწრო ხეობაა, იგი განიფოფება ორ ერთიერთმანეთიდან კარჩეულ ნაწილებათ; დაწეებული მტკვრიდან სადგურ კასშიდან სოფელ სავარინთლოს ჩრდილოეთის საზღვრებამდის, ასე ოცი ვერსტის სიგრძე, წარმოადგენს უფრო გაშლილ, უღამაზეს, უმდიდრეს და უნაყოფიერეს ნაწილს ხეობისას. დანარჩენი ჩრდილოეთის ნაწილი კი წარმოადგენს ვიწრო, მთიან და ტეიან ადგილს, რომელიც მოფენიღია ბლამათ ოსის სოფლებით*). ზირველი ე. ი. სამხრეთის ნაწილი ხეობისა დასახლებულია ქართველებით და შეიცავს შემდეგ სოფლებს: კასპს, იფუეთს, სამთავისს, ქვემო ქალას, ახალშენას, საკორინთლოს და ზოგიერთ ზაწია გაქართველებულ ოსების სოფლებს: რგვალ ჭაღას, ზანტიანს, გორაცს, აბრეს და მსხლებს. როგორც ბუნებრივათ, ისე ადმინისტრაციულათაც ეს ხეობა გაყოფიღია ორ ნაწილათ: ზირველი ეკუთვნის გორის მაზრას და შეადგენს 5 სამრეველს და ერთ სამამასახლისოს,

*) ყველა ეს სოფლები ძველათ ქართველებისა ყოფიღია და ქართველებით დასახლებული. როგორც მაგ. არმაზი, წოლლი და სხვა, ახლა თუმცა იქ ოსები ცხოვრობენ, მაგრამ მამულის პატრონები ქართველებია.

შეიქმნა და დაეხმარა და წამოადგინა მხრით სამ სამრეწველოს და ერთ სამამსახურს. სამრეწველო ანუ გონის მზრის ნაწილის მცხოვრებელი ქართველი მისდევნენ სხვა და სხვა თესვის კარდა უმეტესათ მკვანახობ-მედიანობას, მეტონებობას და სხვა. აქ ძირითადად იყო-ით ისეთ კაცს, რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს, რომ ერთი ზაწაწინა ბაღი მანინ არა ჰქონდეს ვაზით, ხეხი-ლით და ბოსტნეულით შემკული. უველა მგზავნიც კარ-გათ შენიშნა, ვისაც ქალაქიდან სურამამდის მანინ უე-ლია, რომ კასპის სადგურისთანა მდიდარი და ხილიანი სადგური ქართლში სულ არ მოიძებნება და იმერეთშიაც მას ბევრი ვერ უდრის. აქ გამოაქვთ ბავშვებს კასუიდათ: მსხალი, ატამი, ვაშლი, ქლიავი, ყურძენი, ხურჩ-ხელო, ჩირი, თხილი, კაკალი, ჭერამი, გარგარი, ბა-ლი, ალუბალი, სატაკურა, სოკო, საზამთრო, ნესვი, ახალი თევზი, ყველი, ერბო, კვერცხი, რძე, ფრი-ნველები და სხვ. და სხ. ამავე სადგურზე შემოდგომო-ბით დგას მთელი გორები ჭინხახულით სავსე ტომრებისა, კომბოსტოსი, შეშისა, გაჯისა, კირისა და სხვ. ერთი სიტყვით, ხეობის ამ ნაწილს ბევრი კურთხეული მხარე ქვეყნისა შეჭნატრებს მისი ბუნებრივი სიმდიდრისა და კარგი მდებარეობისათვის.

სწავლა - განათლების მხრივ ბევრ სხვა კუთ-ხეს ვგვხვებით. სულ ათი-თორმეტი ვერსტის მანძილ-ზე, 5 - 6 სოფელში არსებობს დღეს 4 სასწავლებელი, ორი სამინისტრო და ორიც სამრეწველო სკოლა. გარდა ამისა უველა სოფლებში მოგვხვდებით თითო ორთა ინტელიგენტები, რომლებიც ზრუნავენ თავისი მხარისა და სამშობლო სოფლის კეთილდღეობისათვის.

ამ ნაწილში, როგორც მოგახსენეთ მონახლებებენ ქართველები: თავადნი, სამღვდელნი, აზნაურნი და გლეხნი. სწავლა-განათლების მედიანობა და ზიკვლეობა ეკუ-თვნის თავადთა და სასულიერო წოდების ჩამომავლობას, აზნაურნი და გლეხნი კი საკმაოდ ჩამორჩევილნი არიან ჩვენსა საუბედურთ. მხრით იმედია ამას იქით ესენიც მოვლენ გონს და ისარკებებენ ადგილობრივი სასწავლე-ბელებით მანინ. სამინისტრო სასწავლებლები არსებობენ სოფელ კასპში და ქვემო ჭალაში, სამრეწველო კი სამთა-ვისში და ქვემო-ჭალაში, რომლებშიც კარგა ბლამა ემა-წვილები დადიან, გარდა ერთისა, ე. ი. ქვემო-ქალის სამინისტრო სასწავლოებლისა, სადაც შევიდნენ თი-თქმის სულადარ დადის, თუმცა იგი უფლებით და მოწყო-ბილობა-პირობებით უველას ჯობს. ეს სასწავლებელი ითვლება ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებლად, ჰყავს ორი სასწავლებელი, ვაჟებისა და ქალებისა. სკოლას აქვს კარგი ბაღი 12 დღის მიწით, რომელიც შესწირა თავადმა ივანე გვიის-ძე ამილახვარმა და რომელსაც მართავს სასწავლო მუბაღე. ამ სამინისტრო სკოლების-თვის საცოდავო გლეხი კაცი იხდის წელიწადში კომლზე სამ-სამ მანეთს, სხვა წოდებანი კი სრულიად თავისუ-

ფაღნი არიან, თუმცა მათი შეილება სწავლობენ აქ. მკითხველ საზოგადოებას ვგონებ გააკვირვოს ეს შემთხვევა, რომ ამ გვართ კეთილ განწყობილ სასწავლე-ბელში მოწაფე ბავშვების რიცხვი ასე ცოტა უფილა. ამის მიზეზია ის, რომ ძველი ქართველი სასწავლებელი გადაიფანეს და ახალი გამოგვიგზავნეს. სურავინ იფი-ქრებს, რომ ვითომც ჩვენ გლეხს არ ჰქონდეს სურვი-ლი სწავლის მიღებისა. ან არ ესმოდეს მისი ფასი და ღირსება. საზოგადოდ ასე ჰგონიათ, მაგრამ საქმე კი სულ სხვაშია. ამიტომ იმედია ჯეროვან ურადლებას მიატყვევ-ნი ამ სამწყურს მოვლენას ვისიც ჯერ არს და საქმეს საიდ-განაც ეშველება ჩქარა გამოაკეთებენ საკეთილთ და ხალ-ხის სასარკებლად. არ შეიძლება აგრეთვე არ მოვიხსი-ნოთ ის, რომ აგრ თითქმის 20 წელიწადია უფელ-წელი უკლებლივ განუჩეკლათ შეძლებისა ღ სიშორისა, სამ-სამ მანეთს ახდებიან და ეს ისეთ სოფლებსაც, რომლებიც ჭა-ლასზე კარგა მოშორებით არიან და მათი შეილება ბევრი საზოგადო და შესწავნარბელი მიზეზების გამო ვერა სარ-კებლობენ ჭალის სკოლით. ჩვენი აზრით შეიძლება მგონი ამ ხარჯს მოჰკლებოდან განთავისუფლებათ ქვემო ობოლნი და უძენი, ან კიდევ ის სოფლები, რომლებიც ვერა სარკებლობენ ამ სასწავლებლებით. ამ გვარი სოფლებისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ხარჯი ცალკე ინახებოდეს ვიდრე მით შეიძლებდენ საკუ-თარი სკოლის განსახან, მაგ. სოფელ საკარინთლში, სადაც ადვილათ იფიან სოფ. ახალმენას, ანგვისა და მისხლე-ბი მცხოვრებთა შეილნიც. რაიცა შეეხება მიმოსვლის სიადვილეს, ამ მხრივაც არაუშავს. ამ ხეობის ნაწილ-ში, კასპიდან ჭალამდის, ღამაზი ქვიშა დაყრილი გზა-ტკბილია გაუფანელი. აქამდის წყალში გასვლა გასაჭირი იყო წყალდიდობის დროს, მაგრამ ახლა ივანე გვიის-ძე ამილახვრის წყალობით გაკეთებულა ღამაზი ხის ხი-დი და ამგვართ ეს უხერხულობაც აცილდათ მგზავრებს. რაკი გზა ასე გაკეთდა და სიარული გაადვილდა, გაი-მართა ხალხის სატარებლად ორი ეტლი, რომლებიც უფელ დღე დაიარებიან ჭალასა და სადგურ კასპს შუა და ათ შუართ ერთ საათს კასპიდან ჭალამდის ახვადთ თუმცა ეს ფასი ცოტა არ იუყეს ძვირია, მაგრამ მანინ მადლობის ღირსნი არიან ეტლების ზატრან-ნი და იმედიც უნდა ვიქნოთ, რომ თუ შესაძლოთ დაინახვენ ცოტა ფასს დაუკლებენ; ამით უველას გაუადვილდება საფასურის გადახდა, მგზავრების რიცხვიც უფრო იმატებს და მით ზატრანებიც ზარალის მაგივრათ სარკებლობას ნახვენ. ამ ეტლების უფელ-დღიურ მიმოსვლის წყალობით შეიძლება გახეთ-წერილების დროზე და უფელ-დღე მიღება, მაგრამ ამას ხელს უშლის ერთი უხერხული დაწესებულება სად-კასპში. რაც წერილები მოდის სადგურის უფრესი ჰქვეტავს ერთ უთში და სანამ სამ კანკის არ გადა-ხდებიან ზატრანს ან წამლებს, მანამ ქრისტე ღმერთიც

საქართველო
საქართველოს
საქართველოს

ვერ იხსნის მათ იქიდან. ახსნად იარსის ზატონმა უფ-
ველ-დე წერილების საკითხვით ან მეტადე სდ იხს-
დის ეველსათვის ეს უსაფუძვლო და უგუნური ხარჯი?!
მედი და ნუ იტუვის კაცი რომ ის დრო ჯობდა, რცა
წერილები * აქ არ იხსებოდა. მაშინ თუ ერთი-ორი
იკარგებოდა, ახლა თითქმის ეველს ან ეკარგება, და ან
ისეთ დროს მისდით, რცა წერილს აღარაფერი მნი-
შენებლობა აღარა აქვს. მეტი არ იქნება შევნიშნათ აქ,
რომ ჩვენ მხარეებში თუმც გზების კეთება არსებობს,
მაგრამ კეთდებიან ისეთი ზონის გამკეობით, რომელთაც
არამც თუ ტენიკური ცოდნა არ აქვთ, არამედ ზირდა-
ზირი ხანის გავლებაც არ ესმისთ. ინჟინერის თანამდე-
ბობას ასრულებენ ვიღაც ოსის ჩაფრები და კარგათ წარ-
მოიდგენთ თუ უფველ გემას მოკლებული ნაკეთები
გზა რამდენათ ცუდი, უფრო გრძელი და მაშასადამე
ძნელი და დიდ-ხანს სამუშაო იქნება. მაგრამ ვის რა
ენადვლება? ამაზე არ იხარჯება არც სახელმწიფო, არც
არავის ფულები. ეს ეველს საცოდავი გლეხის თავში
საცემია, თუმცა გზა ეველსათვის და უფველ წოდების
კაცთათვის საჭიროა და სასარგებლო. სიმართლე მოი-
თხოვს, რომ გლეხს საქმეში მხარში შეუდგენ სხვა წო-
დებანიც. გზები კეთდება ბეგრებით, ხოლო ბეგრი
მუშების გამოყვანაშია ბეგრი უსამართლობა ხდება, ხში-
რათ ერეკებიან სამუშაოთ იმ ხალხს, რომელიც სრულე-
ბით არ ხვდება ამ გზას და ისეთები რჩებიან თავისუ-
ფლათ, რომლებიც უფველ-დე მასზე მოგზაურობენ. იმედი
ვიქნებით, რომ, რცა ახალი გზების გაკეთებას შეუდგე-
ბიან, მცოდნე კაცს მიანდობენ და ბეგრაც სამართლიანათ
გამოიწვევენ.


თუ ამ ხეობაში დღეს მრავლათ მოიხვევა ვენახები,
ბადები, ბოსტნები, საკომბოსტოები და სხვა. ეს იმი-
ტომ, რომ მთელი ეს ნაწილი დასერილია მრავალი არ-
ხებით და ირწვევის ზემოხსენებული მდინარის წყლით.
ეს არხები ძველის ძველივით და ახლა მთავრობისაგან ამ
ხეობაშია დაუენებულ იქმნა წყლის მამასახლისის მიხარბი.
ბედმა ეს ხელობა ჩუგდო ფრიად ზატონსან და ხალ-
ხისთვის გულშემატკივარ კაცს და მიუხედავთ დიდი
ჯამაგირისა, რომელიც დაწესებულია ამ მოხელეთათვის,
იგი აკერ რამდენიმე წელიწადის სრულეობით მუქათ მსა-
ხურობს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. ხოლო
აქვე არ შეგვიძლია არ შევნიშნათ, რომ ეს ზატონ-
სანი ზირი მრავალ გვარს საქმეების ზატონია, რომელე-
ბიც ნებას არ აძლევენ ხანგრძლივთ იმეოფობდეს
სოფელში და ამიტომ ამ საქმეს არამც თუ უმჯო-
ბესობა, არამედ უკან დახვევა ეტობა; წრეულს მაგა-
ლითათ, გამოდმა რუსე გამოიყვანეს წყალი მხოლოთ
10 თუ 11 თიბათვეში, მარტისა და ახრისის მაგივრათ.
მიხარბს ვერ შეგვიძლია დაუდგურობას, უკველათ გა-
რემოებას ნებას არ აძლედა მას მიეხედნა აქამდის ამ
საქმისათვის, მაგრამ რას იფიქრობდენ დანარჩენი მისი
თანამოსამსახურენი, არ გვესმის?!!

რადგან რწვევის საქმე ფრიად საჭიროა და
რცა ამ ხეობაში, როგორც მთელს ქართლში, ამიტომ
სასურველია ამ საქმეს დიდი ურადლება მიექცეს; გაუმ-
ჯობესდეს არსებული არხები. ვაკეთდეს ახლები და მით
შემატოს მხარეს ძვირ ფასათ სამუშაო ადგილები.

ეველს ზევით ჩამოთვლილ და სხვა კეთილ საქ-
მეებში დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის მათ ბრწეინ-
ვალბას ამ ხეობის უზირველეს—შვილს კავალერიის დე-
ნეაღს თავად ივანე გვირდუ ამილახვარს. ის დიდ ენერ-
გიას ანდომებს თავის სამშობლო მხრისა და სოფლის
გამგენიერება ვაკეთებას, სკოლების, გზების, ძველი
ნაშთების, ციხე-კაპლესიების შეკეთებას. ეს ეველს
მას ეკუთვნის და ამიტომ ის რასაკვირველია დიდი მად-
ლობისა და ზატონისცემის ღირსია.

თუმცა ამისთანა მზრუნველი და ზატონი ჰყავს ამ
ბუნდურ ხეობას, მაგრამ ხათქამია; მარტო კაცი
პურის ქამაშია ცოდოაო. მარტო მათ ბრწეინვალე-
ბას სდ შეუძლია ეველს და ეველს თვალ უური ადევ-
ნოს? მას მოდვასწობის ასწარგზზე თანაშემწენიც ეჭირ-
ვება, რომ შეერთებული ძალით უფრო კარგათ მოაწ-
ეონ კეკლეუცი მხარას და ხალხის საქმეები. ამ
მიზნით აქაური ახლა თაობაც შეუდგა ზოგი-
ერთ სასარგებლო საქმეების კეთებას. ზირველ ეოგ-
ლისა დაწვეს სახალხო წარმოდგენების მართვა,
იმედი არ გაურჩევათ ამ საქმის მოთავეებს და დღეს
წარმოდგენებს დიდი აღტაცებით ეკება აქ ხალხი. შე-
მოსვადიც კარგა ბლომით არის ხოლმე და უოველთვის
საქველ-მოქმედო საქმესაც ხმარდება. სოფელ ქვემო ჭა-
ლასში შეიძინეს კიდევ ცოტადენი სტენის მომართულო-
ბა, როგორც მაგ. ფარდა, ოთახი, ტუე და სხვა, ეველს
ეს ტილოსისა და შემკულია შეგნიერი სურათებით. ახლა
აზრათ აქვთ ამ მოკლე ხანში სამუდამო სტენის დაარსება
და ვინც ამ საქმეში დახმარებას ადმოუჩენს მოთავეებს
დიდათ დაავალბებს ამ საქმეს. სტენისავე იმედით აზრათ
აქვთ დაარსონ აგრეთვე უფასო სამკითხველო და სხვა ამ
გვარი საჭირო და სასარგებლო დაწესებულებანი. ჩემი
აზრით, თუ ნებას მომცემს ზემოხსენებული ჭადის სა-
ზოგადობა, გულ-წრთელათ ვურჩევ ერთ საქმეს: სოფლის
კანცელარიის შენობა არა აქვთ და ბარემ ააშენონ ისეთი
შენობა, რომელიც იქნება ერთსა და იმავე დროს ქამ-
მართველოც, ბიბლიოთეკაც, თეატრიც, სასოფლო საქმე-
ზე საჭიროც; ვრცელ ზრტრამმას და გემას თუ
მოითხოვს ზატონცემული საზოგადობა—დიდი სიამო-
ვნებით წარუდგენთ. ამასთან აზრათ აქვთ საამხანაგო
დებო, ბანკის და საავთომოტოის დაარსებაც ამ ცოტა
ხანში და ვუსურვეთ კეთილ ბოლოს.

კირისუფალი
(დასასრული იქნება)



საბარლამენტო არჩევნები ინგლისში

(წერილი ლონდონიდან)

ინგლისის პარლამენტის არჩევნები დასრულდა. იგი საცა კიდევაც შეიკრება და დაიწყებს მუშაობას. რა პარლამენტია ეს და ვისგან შედგება იგი?

მთელ ბრიტანიაში 6,732,613 სულს აქვს არჩევნის უფლება. (ხოლო მცხოვრებთა რიცხვია 40,559,954) ამათგან 1,621,887 სული იყო მარჯველი ხმის მისაცემთ. გამოცხადდა 3, 370, 172 მოქალაქე და არჩეულ იქნა 670 ხალხის წარმომადგენელი.

არჩეულ იქნა: 332 კონსერვატორი, 69 ლიბერალ-იუნიონისტი, 187 ლიბერალ-რადიკალი, რომლებშიაც ურევია მხოლოდ ერთი მუშების წარმომადგენელი, და 82 ირლანდიის ნაციონალისტი; ამ ანგარიშით ვხედავთ, რომ ბრიტანიის ამრჩეულს 401 კონსერვატორი და 267 მარქსისტული პარტიკული აურჩევიათ.

როგორც წინა წერტილში ვთქვით, კონსერვატორების არატორები ამრჩეულს არწმუნებდნენ, რომ ამ კრიზისის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ძლიერი მთავრობა. ასეთი მთავრობა მხოლოდ კონსერვატორთა ბანაკიდან შეიძლება შედგეს. თუ ეს განხორციელდა, იმ შემთხვევაში ჩვენ პარტიის სიტუაციას ვაძვირებთ, რომ ტრანსსავალ-ორანჟის ქვეყნებში დამარბული იქნება ჩვენი, კონსერვატორთა, გავლენა და სამმართველო პრინციპები. ხოლო ლიბერალურ მთავრობას შეუძლია შეცვალოს ჩვენი მიდრეკილება, და ყოველი მსხვერპლი, ჯაფა, ხარჯი, უსარგებლო ჩაივლის, რომელიც ტრანსსავალ-ორანჟის ქვეყნების დასაზღვრებად დაგვირდება. ხალხმა უურადლებაში მიიღო ასეთი ჩაკლება. მას არ გამოეპყროვია დღევანდელი არეულობის საფ-კარგე. მას არ გაქვრდობია ჭეშმარიტი გრძობები ის ისე ინგლისელია, ფართეთ მსჯელი და მოთქმებული; მაგრამ ამავე დროს მას არ დავიწყებია თავისი თავი, თავისი ისტორიული და რეალური უპირატესობა, და აქედან ის წამოდგა რომ, ჯანბულმა ხელები შეათამაშა და ტრანსსავალ-ორანჟის ქვეყნებს ეელში მაგრამ მოუჭირა ხელი. დაახ, მან ვერ უარჩეო თავისი პირადი ინტერესი, რისგამო დღეს კონსერვატორებმა გაიმარჯვეს, და ხალხისაგან 1.723,947 ხმა მიიღეს. ლიბერალებმა ნაციონალისტებთან ერთად 1,644,266 ხმა მიიღეს. აწინდელი მთავრობის მომხრეთა უმეტესობას 79,681 ხმა შეადგენს.

აქედან ცხადათ ვხედავთ, რომ ვინც ლიბერალებს და რადიკალებს ხმა მისცა — მას უთუოთ უსაჭიროეს საპარლამენტო კითხვათ ბურებში წესების დამარბება მიანდა; კონსერვატორები აგრელებდნენ ხმას, რომ ლიბერალები ტრანსსავალ-ორანჟის რესპუბლიკების განახლებას ცდილობდნენ ამ ხმამ დიდი ძალა დაუკარგა მათ; მაგრამ იმავ დროს, მიუხედავთ იმისა, თითქმის ერთი ნახევარი მთელი ამრჩეულების

ლიბერალები, ე. ი. ბურების მომხრე გამოდგა. ინგლისელი ხალხს რომ ეს კითხვა მიანდა უდიდეს კითხვათ — ეს დღესათი ნათელია, მაშასადამე ხალხის დიდი ნაწილი ამ არჩევნებით ბურებს თანაგრძობას უცხადებს.

გაიმარჯვა კონსერვატორ-უნიონისტების პარტიამ და ცხადია, რომ ისინი თავის ნაკვალევ გზას გაჰყვებიან, ბურების საქმეს ისე მოაწეობენ, როგორც თვითონ სურთ; ირლანდია და უელსის სამთავრო ისევე ძველებურად დილას დაბრძანდებიან; ღორდთა პალატა შეუცვლელათ განაგრძობს თავის ბატონობას; ამასთანავე, შემოდებულ იქნება სამხედრო რეფორმები, და უნდა ვიგულისხმეთ, რომ დღევანდელ ვაჭარ-მეღუქე კრიდან ხვალ დიდი მხედრული, შეომარი ძალა იშობება. ეს გარემოება ცვლის ინგლისის ცხოვრებას, და ამასთანავე შეიცვლება მისი სხვა ერებთან დამოკიდებულება, რაიცა ბურებთან პრძობამ გამოიწვია.

არჩევნები ინგლისში ერთად ძვირათ ჯდება და ამიტომ დარბების საარჩევნო ანგარიშზე გამოსვლა ძალიან ძნელია. აი სანამუშოთ ერთი კონსერვატორის, ჯონ დილასტის ჯიბის ანგარიში: აკენტებისათვის 285 გირვანქა სტერლინგი; სტამბის და სხვა 79 გირ. 8 შილ. 11 პენსი; ფოსტის და ტელეგრაფების 51 გირ. 1 შილ. 2 პენსი; მიტინგების გამართვა და დაბაზების ქირა 25 გირ. 3 შილ.; წერილი პირადი ხარჯი 2 გირ. 13 შილ, 8 პენსი; სხვა-და-სხვა 54 გირ. 12 შილ. სულ 497 გირ. სტერ. 18 შილ. 1 პენსი, რომელიც 5000 მანეთს უდრის. ეს საშუალება შესწინა თავის არჩევანს, საიდანაც ის არაფერს არღებულობს, რადგან არც ერთ პარლამენტის წევრს არავითარი ჯილდო არ ეძლევა.

ასეთი ზომები ცუდ მდგომარეობაში აყენებს შეუძლებელ ამრჩეულებს, მათ ხელიდან ეცლებათ პრძობის საშუალება და სპირათაც მარცხდებიან. ამ გარემოებას, რომ რამე ნაირათ უწამლონ, ამისთვის შედგა „დიდი ერავნული დემოკრატიული ლიგა“, რომელიც თავის დროს ღორდ როზბურის შემდეგი სიტუებები დაწერა: „ძლიან კარგია კარგი სიტუებების წარმოთქმა და ბევრის უურადლების მიქცევა, ძლიან კარგია რჩევებზე ავტორიტეტით ქდაგება, ძლიან კარგია, რომ თქვენი ხმადლები ყოველ ზღვის კუთხეზე დაცურავდნენ; კარგია, რომ თქვენი ბაირადი ყოველ ნავთ-სადგურში ფრიალობდეს; ეს ყველა კარგია, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ჩემთვის ცხადია, რომ ამ ქვეყანაში არსებობს ერთი პარტია, რომელიც დამრბულია ყოველ პლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც თქვრბს თქვას, „ჭირი გაუნდეს თქვენ ორივე პალატას, ჭირი ყველა თქვენ პარტიებს, ჭირი ყოველგვარ თქვენ პლიტიკას, ჭირი თქვენ დაუბოლოებელ კამათს, რომელიც უსარგებლოთ მიდის; მარხით ამ დაუბოლოებელ მუსიათუს, ძირს ჩამოდიოთ და ხალხისთვის რამე აკეთეთ!“

ამ ეროვნულ ლიგის საქმეებს კამიტეტი განაკებს;

ამ კამიტეტმა შეიმუშავა შემდეგი სამოქმედო პროგრამა: ერთნაირი დემოკრატიული ღირსება, რომელიც ანსებობს დემოკრატიულად დადგენილ სახელმწიფოებს, თავის მიზნით აღიარებს საარჩევნო წესების გაუკეთებლობას. ამისათვის საჭიროა:

1. სამი თვით წინდაწინ ამრჩევლთა აღწერა.
2. ერთ კაცზე ერთი ხმა.
3. არჩევნებზე გაწეული ხარჯი დაფარულ იქნას სახელმწიფო ხარჯებით.
4. ხელ შეკრე კენჭის ურთა, რაცა ზირველ კენჭის ურთაზე ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ვეილა მიცემულ ხმების უმრავლესობას.
5. საზოგადო კანონმდებლობაში შემკვიდრებითი პრინციპის მოხერხება.

ამგვარ ორგანიზაციის სამოქმედო თითოეული წევრი იხდის წელიწადში არა ხაკლებ 1 შილანგისა.

ამ ერთნაირ ღირსება შეუერთდენ სხვა-და-სხვა პროგრამის შექმნა — სოციალისტები და პროგრესისტები. ისინი ცდილობენ პარლამენტში ძალის მოპოვებას, იქ შეტი წარმომადგენლის კაცხანას, რომელსაც დღეს მოკლებული არიან.

წლებანდელ არჩევნებზე წმინდა მუშების კანდიდატები კარდა ორი-სამისა ვერ გავიდენ. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მათი პირადი პოპულარობა საჭიროა, გადაჭრით დადადებს დღევანდელ საჭირო-ბოროტო კითხვების შესახებ. ესენი ხან თავს და ხან ბოლოს არ მალავენ, როგორც ეს ლიბერალებმა ჩადინეს. გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ბურჟუაზიულ ამხედრებას, სხვაგან ხელის გაწვდას, ქვეყნების დაპყრობას, ერთი სიტყვით — ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო პოლიტიკას, რადგანაც ის თავიდან ბოლომდის ბურჟუაზიულია და პოლიტიკის მხარის მიცემა მათთვის ბურჟუაზიის დახმარებას. ისინი პირ-და-პირ, შეუწყობენ და თან ენერგიულად უცხადებენ პროტესტს დღევანდელ ბრიტანის მთავრობას და მასში არსებულ ბურჟუაზიულ კლასებს.

მუშების დამცველნი დამარცხდენ, მაგრამ ამ დამარცხებაში შენიშნეს ერთი სასიხარულო მოვლენა. შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად მათი ამრჩევლების რიცხვი გაზარდილა. მაგ. 1895 წ. 13 ალაგას 41,103 სოციალისტური კენჭი იყო, წელს კი იმავე ადგილებში 44,315 ხმა. ასეთი ზრდა ატყვია სხვა ადგილებშიაც.

ერთ შეკენიერ დღეს გამოცხადდა, რომ აფრიკიდან მოდიან ინგლისელი ჯარისკაცები. ინგლისი და განსაკუთრებით ლონდონი სადღესასწაულოდ მოერთო. ის შესაფერათ უხვდება ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა — ვოლანტერებს. იმათ სანახავად ააკეს ზღაპროვანი, დაცალეს მალაზიები და შიგ ზღაპროვანი

მოაწვეეს. შეიძინეს დიდი და ზატარა ბიბლიოთეკები. სხვა ტიპის-სვეტებზე გადაბეს თოკები და ზედ ჩამოკიდეს ფერად-ფერადი ბიბლიები, სხვა-და-სხვა გმირული ზედ წარწერებით: „მოკვებებით გმირნი“, — „დიება დემონთა რომელმაც კაცმარჯვებით“, „მეფობდენ ბრიტანიაჲ“ და სხვა. ეოველი ქუჩა და სხელი ბიბლიებით დამშვენებული იყო, მაგრამ განსაკუთრებით ის სახლები და ქუჩები, სადაც ვოლანტერებს უნდა გაეფლოთ. 27 ოქტ. შაბათს ნაშუადღევს ლონდონელი ხალხის გული ფეთქდა, აი როდის გამოიფლიან და აი როდისო. მაგრამ იმედი გარეგნად; გამოცხადდა, რომ ორშაბათისდის ხომალდი ვერ მოადწევს ლონდონში, ამ ამბით ხალხი უკმაყოფილოდ დაიშალა და ელოდა ორშაბათს. აი ორშაბათიც, და კიდევაც გამოჩნდენ მათი გმირები, მემორები. ელოდენ ბევრს, მაგრამ მოვიდა მხოლოდ 1,700 კაცი. ესენი ცოტ-ცოტა ჯგუფებათ შემოვიდენ ქალაქში, რომლებმაც ხალხიდან გრიადივით მიიღეს სალაში. სახლის თავებზე, მალაზიებში, ზღაპროვანებზე, ქუჩებზე ხალხის ტყვა აღარ იყო. სხვა-და-სხვა სამხედრო მუსიკა, ხალხის გრიადი და ვაშა-ვაშას ძახილი, ხელსახოცების და ბიბლიების ქნევა მიესალმა მათ, ამანათ ისურვეს მათი მშვიდობით სამშობლოში დაბრუნება, რომელიც მოწმობს ამ ხალხის პატრიოტულ სულის კვეთას, მას ბევრ რამეში მოწონს თავის თავი და მხედრობაშიაც აპირებს პირველობის დაჩემებას.

ძალაც შესწევს ქადილს. რაც სურს კიდევაც ასრულებს; მისი ძლიერება რეალურია, თვალ-საჩინოა და საით მიმართავს — ამას მომავალში დავინახავთ.

ი. კაკაბაძე.

ანგარიში

„ქართული დრამატული საზოგადოების მოქმედების 1 ოქტომბრიდან 1899 წ. 1 ოქტომბრამდე 1900 წ.“

წევნი მივიღეთ ზემოთ მოყვანილი სათაურით პაწია წიგნაკი, რომელიც შეიცავს 23 გვერდს. მას შემდეგ რაც დრამატული საზოგადოება არსებობს, ეს პირველად იბეჭდება მისი ანგარიში. კარგია ამით არ გათავდეს და ასეთი ანგარიშები შემდეგშიაც გამოვიდეს. წიგნაკში მოთავსებულია: 1) „წინასიტყვაობა“, 2) „ტრუბა“, 3) „წარმოდგენები“, 4) „ახალი პიესები და ახალი არტისტები“, 5) „გარდერობი“, 6) „კანტორა და ბიბლიოთეკა“, 7) „საზოგადოების შემოსავალი“, 8) „სახალხო თეატრი“, 9) „ქართული თეატრის არსებობის 50 წლის იუბილეი“ და 10) გასული წლის შემოსავალ-გასვლის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით წინასიტყვაობას:

„ბ.ბ. წარმოგიდგენთ რა დრამატული საზოგადოების გასული წლის ანგარიშს, საქიროთ ვრაცხთ მოვახსენოთ შემდეგი:

„გამგეობის მთავარ საზრუნავს, როგორც მოგვხსენებათ, ქართული თეატრის სეზონის მართვა შეადგენს. ის, დღიდან მისი არჩევისა, იმის მეცადინეობაშია რომ ქართულმა თეატრმა, ქართულმა სათეატრო ხელოვნებამ ფეხი მოიკიდოს თფილისის ქართველობაში და ახლა სიამოვნებით უნდა აღვიაროთ, რომ ცდას უნაყოფოთ არ ჩაუელია. ქართველი ხალხი თანდათან ეჩვევა ქართულ წარმოდგენებს და მით დიდ თანაგრძნობას უწყევს ნაციონალურ ხელოვნებას. ამის უტყუარი მაგალითია საანგარიშო წლის სეზონი. ჩვენ კიდევ შარშანდელ კრებაზე მოვახსენეთ, რომ „იმედია ახლო მომავალში ჩვეულებრივი დეფიციტები მოისპოსო“ და მაშინ რას წარმოგიდგენდით თუ ეს იმედი ასე მალე განხორციელდებოდა. გასული წლის სეზონი გავათავეთ თითქმის უდეფიციტოთ და ეს პირველი მაგალითია ჩვენ სათეატრო მათიანეში. ამ ორ წელს რამდენათ გაიზარდა თეატრის მოთხოვნა თფილისში ნათლათ ჩანს შემდეგიდან: 1898—1899 წ. სეზონში თითო წარმოდგენამ მოგვცა საშუალო რიცხვით 332 მ. და კაპეიკები, ხოლო საანგარიშო წლის სეზონში (1899—1900 წ.) კი 397 მ. და კაპეიკები. წარმატება აშკარაა. ეს მაგალითი თავის თავთ ღაღადებს იმას თუ როგორ გაუდგამს ფესვი ქართულ თეატრს თფილისში და როგორი ჩქარი ნაბიჯით განვითარებულა იგი. დაიმსახურა რა ასეთი ყურადღება ქართულმა თეატრმა, დაიმსახურა ასეთივე ყურადღება ამ თეატრის მეთაურმა—„საზოგადოებამ“. ამას მოწმობს მისი შესავალ-გასავალის საერთო მდგომარეობა. „საზოგადოებას“ არასოდეს არ დაუწყია ახალი საანგარიშო წელიწადი იმდენი ფულით რამდენიც მას ამ ჟამათ აქვს (2482 მ. 27 კ.) ამას გარდა ორ იანვარს გამართულმა საიუბილეო დღესასწაულმა გვიჩვენა, რომ ქართული თეატრის სიყვარული ღრმით ჰქონებია გამჯდარი არა მარტო თფილისის ქართველობას, არამედ ქართველობას, საზოგადოთ, სადაც უნდა იყოს იგი. ის წერილები, დეპეშები და სიტყვები, რომელნიც დღესასწაულზე მოვისმინეთ, ნათელ ჰყოფენ საერთო თანაგრძნობას ქართული ხელოვნებისადმი. ერთი სიტყვით, როგორც ჩვენი თეატრი, ისე ჩვენი „საზოგადოება“ თან-და-თან მკვიდრ ნიადაგზე ღვება და ქართველთა ცხოვრების ერთ შეურყეველ დერბატთ ხდება.

რაც შეეხება თეატრის შენობის იჯარით აღებას, რაიცა 1898 წლის საზოგადო კრებამ დაგვაგადა და რაც გასულ წელს ვერ მოვახერხეთ, მო-

ვახერხეთ წელს. ამის შესახებ თქვენ მოისმენთ ცალკე მოხსენებას. საზოგადოთ, „საზოგადოების“ მოქმედება გაფართოვდა და გართულდა, მისი ბიბლიოთეკა, გარდერობი და სხვა ქონება მატულობს და ივსება.

ასეთია „საზოგადოების“ საზოგადო მდგომარეობა საანგარიშო წელს, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ დაინახავთ“.

აი ზოგი ცნობებიც: საანგარიშო წელს მუდმივი დასის ჯამაგირზე დახარჯულა 4411 მ. 40 კ. საგასტროლოთ მოწვეულთ მიეცათ ჯილდოთ—1559 მ. 50 კ. ეს ხარჯები დიდათ აღემატება წინა წლის ხარჯებს (მაგ. წინა სეზონში დასი დაჯდა 3037 მ. 91 კ. გასტროლიორები კი—851 მან. 70 კ.) ამ ანგარიშში ბენეფისები არ არის ჩათვლილი. საანგარიშო წელს სეზონი გაგძელებულა ოთხ თვე ნახევარს, წინა წელთან შედარებით ორი კვირით მეტს. ამ ხნის განმავლობაში გაიმართა სულ 28 წარმოდგენა (წინა წელს 22), ამათ შორის ორი იყო საქველმოქმედო. შემოვიდა სულ 11,101 მ. 19 კ. (წინა წელს 7319 მ. 67 კ.). ამ ხნის განმავლობაში წარმოდგენილი იქნა სამი ახალი პიესა, განახლდა შვიდი პიესა, დახარჩენი კი წინა წელსაც წარმოდგენილი იყო.

გარდერობის შესახებ ვკითხულობთ: გარდერობში საანგარიშო წელს ბევრი ცვლილება მოხდა. პირველ ყოვლისა გადაირჩა ძველი, გამოუდგარი ტანისამოსი ახლებისაგან, შესაკეთებელი ტანისამოსი შეკეთდა, ხოლო ის, რომელიც არ შეკეთდებოდა სრულიად გამოირიცხა გარდერობისაგან. შეკერილი იქნა ახალი ტანისამოსები. სულ საანგარიშო წელს გარდერობზე დაიხარჯა 207 მ. 18 კ. ამ ჟამათ ჩვენი გარდერობი შედგება 168 სხვა-და-სხვა სახელის ნივთისაგან, რომელიც შეიცავს 697 ცალს. ამაში საანგარიშო წელს იქნა შეძენილი 34 სხვა-და-სხვა სახელის ნივთი 153 ცალათ. ამას გარდა, გარდერობებში კიდევ გვაქვს 13 სხვა-და-სხვა ნაჭერი, რაიცა ჯერ შეკერილი არ არის“.

ბიბლიოთეკაში 1899 წ. 1 მაისს ყოფილა 242 სხვა-და-სხვა სახელის პიესა, 360 ცალათ, ხოლო ამ წლის 26 სექტემბერს 358 სხვა-და-სხვა სახელის პიესა, მაშასადამე წელიწადს დახუთ თვეს ჩვენ ბიბლიოთეკას მომატებია 116 პიესა. რაც შეეხება ნაბეჭდ წიგნთა ბიბლიოთეკას—საანგარიშო წელს 50-დე წიგნი შევიძინეთ. ამ ჟამათ ბიბლიოთეკაში არის წიგნები სხვა-და-სხვა სახელებისა: რუსულ ენაზე 85, (227 ცალათ), პიესები რუსულათვე—312; წიგნები ქართულ ენაზე—87, წიგნები უცხო ენაზე—58. ამას გარდა

უფასოთ მოგვდის შემდეგი გამოცემები: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მოამბე“ და „კავკაზი“.

„საზოგადოების“ შემოსავლის შესახებ წერია: „წესდების ძალით „საზოგადოების“ შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენს საწევრო ფული და კერძო შემოწირულებანი. მაგრამ სამწუხაროთ, წევრები ამ თავის მოვალეობას გულ-გრილათ ეკიდებიან. წევრთა რიცხვი ამ წამათ ორასზე მეტია და საწევრო ფული საანგარიშო წელს შემოიტანა მხოლოდ ხუთმა. აი მათი სახელები: სოფრომ მგალობლიშვილი, კონსტანტინე დავითის ძე მესხი, და დიმიტრი ხაშტარია; იაკობ გოგებაშვილი და დავით სარაჯიშვილი ერთათ შემოიტანეს ხუთ-ხუთი თუმანი და მით გათავისუფლდნენ ყოველ წლიური შესატანისაგან. ამ ნაირათ საანგარიშო წელს შემოსულა წევრებისაგან 115 მ. საანგარიშო წელს საზოგადოებამ მიიღო რამოდენიმე კერძო შემოწირულება, ამათში პირველი ალაგი უჭირავს კავკასიის მთავარმართებელის თ. გოლიცინის მიერ შემოწირულ ორი ათას მან., რისთვისაც საგანგებო დებუტაციის საშუალებით შემომწირველს უღრმესი მადლობა გამოაცხადა და მისი თანხმობით ჩარიცხულ იქნა საზოგადოების საპატიო წევრათ. გარდა ამისა საანგარიშო წელსაც, როგორც წინეთ თფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგანაც მივიღეთ 1000 მ. ჩვეულებრივი საქველ-მოქმედო წარმოდგენა თუ საღამო, რაიცა წინეთ „საზოგადოების“ სასარგებლოთ იმართებოდა, საანგარიშო წელს სხვა და სხვა მიზნების გამო აღარ გამართულა და ამით ეს ერთი მთავარი წყაროთაგანი „საზოგადოებას“ ამერთ წელს მოეშალა. პროვინციიდან საანგარიშო წელს შემოწირულება არ მოგვსლია. აქ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი მეტათ უხერხული მდგომარეობა, რომელშიაც „საზოგადოება“ ბაქოს ქართველობამ ჩაყენა. ბაქოდან გვთხოვეს იქაურ საქველ-მოქმედო საღამოს გამართვაში დაეხმარებოდით, ამისათვის ხარჯიც გავგეწოდა და სამაგიეროთ შემოსავლის ერთ ნაწილს გვპირდებოდნენ. თუმცა წინა წელს ასეთივე დანაპირები არ შეგვისრულეს და 50 მ. დაუბრუნებლათ დაგვანარჯვენეს, მაგრამ წელს, მიუხედავათ ამისა, დავთანხმდით მათ პირობას, გავუზზავნეთ არტისტები და ტანისამოსი, რისგამო აქ ერთი წარმოდგენა მოვშალეთ და თეატრი სხვებს მივაქირავეთ და თან ხარჯიც გავსწიეთ 160 მანეთამდის და ეს იმით გადაგვიხადეს, რომ შემოსავლის აღთქმული ნაწილი აღარ დაუბრუნებიათ ჩვენთვის. ეს მეორეჯერ არის რომ ბაქოს საღამოს ხელმძღვანელებმა პირობა არ შეგვისრულეს და ამით „საზოგადოება“ აზარალეს.

საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ შემოსულია სულ 16,269 მ. 87 კ. ამათში წარმოდგენებისაგან 11,101 მ. 19 კ. თ. გოლიცინისაგან 2000 მ., სათ.-აზნ ბანკისაგან 1000 მ. სხვა და სხ. გასავალი ყოფილა სულ 15,767 მ. 60 კ. რაც შეეხება დამდეგი წლის ხარჯთ-ალრიცხვას—ეს ერთობ დიდია, რაიცა აიხსნება თეატრის შენობის იჯარით აღებით. აქ საანგარიშეგია შემოსავალი 32,022 მ. 27 კ. გასავალი კი 30,920 მ. თუ კი ეს ვარაუდი რასაკვირველია, თეატრის შენობის პატრონი კომისიის წყალობით არ გაბრუნდა. ის ფული, რომელიც „საზოგადოებამ“ დალსკის გადაუხადა, როგორც ჯარიმა და „ნეუსტროიკა“, აქ არ არის ნავარაუდევო, ვინაიდან ის პირდაპირ სათავად-აზნაურო ქარვასლის გამგე კომისიის შეცდომის ბრალია და მასასადამე კომისიამე უნდა გადაიხადოს. ყველა ამაზე უეჭველია ლაპარაკი იქნება „საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზე, რომელიც უნდა მოხდეს, დღეს კვირას, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის* 11 საათზე.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

გაზ. „ივერიის“ მე-229 ნომერში წავიკითხეთ წერილი ზესტაფონიდან „მეთვალყურისა“, რომელიც მიმართულია ზესტაფონის ახლათ დაარსებულ საქალბო სკოლის წინააღმდეგ. ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ იმას კი არა, რომ ისეთ საკეთილო საქმეს, როგორც არის ჩვენს სოფლებში საქალბო სასწავლებლის დაარსება, ვინმე მავნებლათ ჩათვლიდა და წინააღმდეგობდა. რამ აიძულა „მეთვალყურე“ გამოემქლანებინა ისეთი უხამსო გულის ნადები?.. აშკარაა, საკუთარი სარფის დაცვის განუსაზღვრელმა სურვილმა, რაიცა ნათლათ გამოსჭვივს წერილში. „ქალებისთვის სკოლის დაარსებას, ვაჟთა ორ-კლასიანი სასწავლებლის ოთხ კლასიანათ გადაკეთება სჯობდაო!“ გვიჩვენებს ბრძნული რჩევით „მეთვალყურე“. აი, სწორეთ ამ ბატონს უნდა მიენდოს გადაწყვეტა ქალთა ემანსიპაციის კითხვებისა!.. ახლა ჩვენ ვკითხვთ ბ-ნ „მეთვალყურეს“: „რა უჭირს, რომ ქალთა სკოლამაც იარსებოს; შიგ მომავალი საიმედო დედები გვეზრდებოდნენ და ორ-კლასიანი სკოლაც ოთხ-კლასიანათ გადაკეთდეს; მით უმეტეს, რომ ეს ორი სკოლა სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს?.. ქალთა სკოლა განსნა სასულიერო მთავრობამ სპეციალური თანხიდან, და ხალხიც წინააღმდეგ ზოგიერთთა მოლოდინისა, ტაშის კვრითა და აღფრთოვანებული გულის ცემით მიეგება ამ საქმეს. განა შორაპნის მახრა თავის ორ-კლასიან ნორმალურ სკოლას ამდენი ხანი ორ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლათ ვერ გადააკეთებდა, რომ ამ საქმესაც თითო ოროლა ქრისტეს ფეხის მტეხელი არ ფუშავდეს; რომ თვით სინათლის დარაჯნი ჭრაქს განგებ არ აქრობდნენ ბნელში ხელების საფათუროთ?.. აქ ქალების სკოლა რა შუაშია?.. პირ-იქით მისი აღორძინება უფრო შეუწყობს ხელს ვაჟთა სასწავლებლის გადიდებას და წინ სელას. აბა რა დააშავა ამ ახალმა საქალბო სკოლამ?.. ის, რომ ზესტაფონში კერძო სკოლებია!.. ამ კერძო სკოლებში ქალთა სასწავლებლის უქონლობის გამო ვაჟებთან ერთათ ქალებიც სწავლობდნენ და გვარიან სარფსაც აძლევდნენ მათ გამგეთ. .. რომელთა შორის ერთია ქ-ნი გაჩეჩილაძე, მეორე ბ-ნი კელენჯერიძე, რომლის

სკოლა თუმც სამრევლოა, მაგრამ კერძო მასწავლებლის დანიშნულებასაც ასრულებს; ბავშვები აურაცხელია შიგ, და სამი მასწავლებელი ძლიერ აუღის, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ერთ-კლასიანია. გაჩეჩილადის სკოლაში კი ორი მასწავლებელია, ერთი თვით ქ-ნი გაჩეჩილადე და თანაშემწე მისი ვ. ჩ-ძე, იმავე დროს მასწავლებელი ნორმალური სკოლასა. მესამე კერძო სკოლა არის ივ. საყვარელიძისა, რომელშიაც თვარამეტი ქალი სწავლობს, და რომელიც „მეთვალყურეს“ ვერ შეუნიშნავს, როგორც ინდოეთის მოგზაურს ინდოეთში — ლომი. დაგელოცა თვალი და ყური!.. ამ სამ კერძო სკოლაში სწავლობს ორმოც ქალზე არა ნაკლები; ახალ სკოლაშიაც შეგროვდა რამდენიმე ათი ქალი და თან ყოველ დღე ემატება ამ რიცხვს. ახლა ვიკითხოთ: იყო თუ არა აუცილებელი საქმეო საქალბო სკოლის დაარსება ზესტაფონში?.. „მეთვალყურის“ აზრით არა, რადგან ამით კერძო სკოლებს, გაჩეჩილადისა თუ სხვათა, შემოსავალი მოაკლდებათ. მერე და რა უფლება გაქვთ ბატონო „მეთვალყურეს“, რომ კერძო სარგებლობისათვის ასეთ საზოგადო საქმეს წინააღმდეგეთ? არ ჯობია, რომ შური და გესლი გულიდან ამოიშორეთ, საქმეს ერთგულად და მუყაითად მოეკიდოდეთ სხვასთან თქვენც იბოვინოთ?... საზოგადოება ისე ბრმა ნუ კი გგონიათ, რომ თავის სასარგებლო საქმეს ვერ მიხედვს? და, თუ მისი გონების სიფხიზლე თქვენ ზარალს გგვრით, ნურას უჟაცრავათ!.. რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომ ამ ახალ სკოლაში სწავლის საქმე ცუდად იყოს დაყენებული, ამის თქმა თუ შეიძლება, მხოლოდ იმისთვის, რომ შურით სავსე გული მოიფხანოს კაცმა. ჯერ რამდენიმე კვირაც არ გასულა, რაც სწავლა დაიწყო ამ სკოლაში, და რევიზია არავის მოუხდენია, რომ მის შედეგით ეხელმძღვანელა ვისმე... გარდა ამისა, დიდი ხაზი და ლარი არ ეჭირვება ამის გაგებას, რომ საქმით მომზადებული მასწავლებელი-ქალი, რომელიც ბევრითა მხოლოდ ერთ საქმეს ეკიდება, უფრო კარგად და რიგიანად წარმართავს სწავლების საქმეს, ვინემ მეორე, რომელსაც, მიუხედავად დიდი სწავლა-მეცნიერებისა, ხელს უშლის ათასი დაბრკოლება, მაგალ, : შვილების შობა-აღზრდა და სხვა ათას გვარი გარემოება, რომელიც ოჯახის ერთგულსა და ქმარშვილის მოყვარულს ნიადგ თავზე ახვევია!..

II.

„ველის“ მე-42 ნომერში მოთავსებულია წერილი ბ. კ. მოღვაძისა იმის შესახებ რომ ვითომ მე და ჯ. იაშვილი უკანონოდ ვიქცევით შავი-ქვის პლატფორმების განაწილების საქმეში. მე ძრიელ მაკვირვებს ეს შენიშვნა, საიდანაც ჩანს რომ ბ. მოღვაძეს ან არ ჩაუხედავს დროებითი წესდებაში და ან არ სურს მიქციოს მას ყურადღება. აი საქმე როგორ იყო: შემოტანილი და განხილული იყო 80 მეტი თხოვნა; ამათაგანს 10-ს მიეცათ ხუთ-ხუთი საყენი და 40-მდეს კი ოთხ-ოთხი, ხოლო დანარჩენთ უარი ეყოთ, რადგანაც არა ჰქონდათ შესაფერი საბუთები წარმოდგენილი. ბ. მოღვაძე გვაძეულებს, რომ ვითომც დიდი ეკონომია გავაკეთეთ და წვრილ მწარმოებლებს მეტი არ დავურიგეთ პლატფორმები. ეს ასე იყო, მაგრამ ვთხოვ ბ. მოღვაძეს წაიკითხოს დროებითი წესდების მე-5 მუხლი და იქიდან გაიგებს გვერდსა ნება ზედ მეტის დარიგებისა თუ არა? ბ. მოღვაძე გვწამებს, ვითომ წვრილი მწარმოებლებისათვის გველალოტებინოს და მიგვედობოდით სხვილებს. მე არ მესმის?! რასეეძახის ბ. მოღვაძე წვრილებს და სხვილებს? ნუ თუ ის პირბი, რომელთაც მიემატათ 30, 20 და 15 საყენი პლატფორმები არ არიან მწარმოებლები და არ არიან შესაკუთრებმა მულენი შავი ქვისა? ძალიან შესაძლოა ბ. მოღვაძის აზრში ის იხატებოდეს, რომ ასეთი სხვილი მწარმოებლები მოსპობილი იყვენ ტიათურაში და დარჩენ მხოლოდ ერთათერთი წვრილები, ეს რომ კიდევაც შეგვეძლოს და მოვანეროთ იმ შემთხვევაში შეეკითხავ თვით ბ. მოღვაძეს, ჩვენ, წვრილებს, უმათოთ შეგვეძლება არსებობა თუ არა? ნუ თუ ბ. მოღვაძე ფიქრობდა გვემოქმედა იმ პროგრამით, რომელიც არც არსებულა ჯერ და არც არსებობს, ხოლო რო-

გ. ბოკერია.

გორც ჩანს ავტორის აზრით უნდა სუფევდეს მომავალში. ჯერ როცა ასეთი წესები შემუშავდება, მაშინ ჩვენც ისე ვიმუშავებთ მედებთ.
პლატფორმების განაწილებელი კომიტეტის წევრი
კ. ჟღენტი.

ქართული თეატრი
კვირას, 5 ნოემბერს 1900 წ.
ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

I
სამშობლო
ისტორიული დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა.

II.
ქედის ერთა
კომ 1 მოქ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

სუთშაბათს, 9 ნოემბერს
წარმოდგენილი იქნება
სე. შ. სვიმონიძეს საბუნეუისოთ

I.
ღრი გმირი
ისტ. ტრაგედია 3 მოქ. ვ. გუნიასი (ფ. კოპელან).

II.
აირია მონასტერი
კომედია-ხუმრობა 3 მოქ. თ. სახაკიასი და ვ. გუნიასი
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი შ. გუნია.

**თფილისის
ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით, 16
ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია

საჯარო პაჭრობა,

რომლითაც უნდა კაცებს იჯარით მუხრანის
ქუჩის და რიუის შუა მომუშავე ქალაქის ბორანი.
ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა
მიიღოს, შეუძლია განხილოს დაწვრილე-
ბითი ზირობები გამგეობის მეოთხე განყოფი-
ლებაში, ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა,
დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე.
(3-1)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.